F 1294
1.321

ხელნაწერის უფლებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავისუფალი საქართველო

№ 11. 15 ოქტომბერი, 1921 წელი. № 11.

ამ ნომერში 20 გვერდია.

შიმშილი და პოლიტიკა.

რუსეთის შიმშილობის საკითხში აპოლიტიკური თეორია, აღიარებული უმთავრესათ რუსი ემიგრანტებისაგან, პირველსავე დღეებში დამარცხდა. დამარცხდა იმიტომ, რომ იგი იყო ფარული პოლიტიკა შეგუების, ბოლშევიზმთან შეთვისების და მეტი არაფერი.

ამის ნაცვლად, სრულიად ბუნებრივათ დატრიალდა სასტიკი პოლიტიკური ბრძოლა, მშრალ ინტერესებზე აგებული, მოკლებული უმაღლეს კაცთმოყვარეობის გრძნობას და გამსჭვალული ვიწრო ჯგუფურ ეგოიზმის ყველა უარყოფითი თვისებებით.

ევროპის ბურჟუაზიულმა მთავრობებმა, როგორც ვიცით, დამშეულთა საკითხი—საბჭოთა კომისრებისაგან ზოგიერთი, დახმარებისათვის საჭირო გარანტიების მოთხოვნით დაიწყეს და ბრიუსელის კონფერენციაზე—რუსეთის ძველი ვალების ცნობის და გასტუმრების მოთხოვნით დაათავეს. რუსის ხალხის გაჭირვება თავის განსაზღვრულ სარგებლობას დაუკვემდებარეს. ეს რასაკვირველია მოსაწონი არაა.

მაგრამ ეს მონაგონიც არაა იმასთან შედარებით, რაც თვით საბჭოთა მთავრობამ ჩაიდინა. ჯგუფურ პოლიტიკაში, მან ყოველ საზღვარს გადააჭარბა. ევროპიული მთავრობები ასეთ პოლიტიკას ქმნიან სხვისი ხალხის შიმშილზე. ეს კრემლის ავაზაკები კი თავის ხალხის შიმშილს იყენებენ თავის ჯგუფური ბატონობის შესარჩენათ და თავის იმპერიალისტურ-ზრახვების განსახორციელებლათ...

პირველ დღეებში დაბნევის შემდეგ საბჭოთა კომისრები ენერგიულათ შეუდგენ რუსის 35 მილიონი ხალხის ამოქლეტით—თავის კაპიტალის შეძენას. ჯერ იყო და განაცხადეს—ვისაც დახმარების აღმოჩენა სურს დამშეულთათვის, მან უნდა იცნას, რომ ერთათ-ერთი ორგანო ამისთვის არის საბჭოთა მთავრობის ორგანიზაცია და ის გაამაგროსო.

ვინც თუნდა აზრათ გაივლებს თავში რაიმეს მათ საწინააღმდეგოს, იმის მშიერების სიახლოვეს მიკარება მათ შეუძლებლათ აღიარეს. რუსეთის საზღვარ-გარეთელმა პარტიებმა სცადეს აპოლიტიკური თეორიით მაინც შეგუებოდენ ბოლშევიზმს და კომუნისტებისავე შექმნილი საზოგადოებრივი კომიტეტის საშვალებით დამშეულთათვის დახმარება გაეწიათ, მაგრამ პასუხათ ჩეკა მიიღეს.

ერთი სიტყვით თუ დახმარება გინდა, ბოლშევიკებს უნდა დაუჩოქო, ასეთია კრემლის ბატონების ფილოსოფია. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. დამშეული ხალხი მათ ხელში ერთგვარ პოლიტიკურ სპეკულიაციის საგნათ გადაიქცა.

ევროპას ამ ხალხის სახელით სთხოვენ საბჭოთა მთავრობის ცნობას და კომისართა საბატონოთ სესხის გაღებას.

მეზობელ სახელმწიფოებს ამ დამშეულთა სახელით ემუქრებიან შემუსვრას და სურსათსანოვაგის წართმევას. ამ რიგათ თავის მიერ შექმნილ შიმშილის მიზეზით ახალ-ახალ ომებს ამზადებენ. შინ მშიერთა სახელით გლეხებს შეუბრალებლათ პროდნალოგს ართმევენ და ჯარს ახმარებენ, ე. ი. თავის ბატონობის იარაღს ამაგრებენ.

და რაც უმთავრესია—თვით დამშეულების ამოძრავებული ტალღაც იმპერიალისტურ პოლიტიკას დაუმორჩილეს. მათგან შედგენილი რაზმები იარაღით ხელში მიუსიეს უკრაინას და ყაზახთა რაიონებს პურის ასაკრეფათ. მათი ოჯახობა და მთელი სოფლები, აღრილი დამშეული ადგილებიდან, მიმართეს განაპირა კუთხეებისკენ და იქ ასახლებენ. მილიონობით ხალ-

F 8345

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხი მიაყარეს უკრაინას, ყაზახთა რაიონებს და კავკასიას. ჩვიდროთ დასახლებული საქართველოც კი არ დარჩათ უყურადღებოთ, და სიღნაღის მაზრა უკვე გადმოხვეწილ რუსებით აავსეს. ამ ტალღის დენა დღეს კიდევ დამთავრებული არაა და იგი დიდ საფრთხეს უქადის განაპირა მხარეებს. ის, რაც ვერ შესძლო თვითმპყრობელ მთავრობის ბიუროკრატიამ—განაპირა ქვეყნების ველიკოროსებით ავსება—დღეს ხორციელდება დამშეულების საშვალებით კომუნისტთა წითელი ლოზუნგების სახელით...

მოსკოვის «ველიკოდერჟავნიკული» ტენდენციები ახლა უკვე შიშველ და ურცხვ სახეს იღებენ. ჩვენ თვალწინ ხდება უდიდესი ხალხთა გადასახლება ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ. ველიკოროსიის სტიქია ბოლშევიკების ლოცვაკურთხევით მისდევს უკან წითელ ჯარის იმპერიალისტურ ხიშტებს და ეპატრონება ახალ-ახალ ტერიტორიებს, რომელიც სხვა ხალხით და ერით არის დასახლებული...

ერთი სიტყვით შიმშილის საშინელებანი გამოყენებულ იქნა, როგორც იარაღი იმპერიალიზმის, მილიტარიზმის და კომუნისტთა უსირცხვილო ბატონობის განმტკიცების. ასეთია მოსკოვის პოლიტიკური მისწრაფებები.

ხალხი ამ შიშველი, არხი-იმპერიალისტური პოლიტიკისგან უზომოთ იტანჯება, წყდება, ნადგურდება. მაგრამ რა ენაღვლებათ კრემლის ავაზაკებს ხალხის წამება!

ისინი გულგრილათ ჰკრავენ ხელს შვეიცის წითელ ჯვარსაც, ანტანტის დახმარებასაც. იგინი არ დათმობენ არც ერთ ატომს თავის დიქტატურულ უფლებებიდან. ასეთი იყო ძველათ ბუნება ტირანების, ასეთია იგი მეოცე საუკუნეშიაც.

მხოლოდ, ევროპის პროლეტარიატმა აიღო სწორი ხაზი. მან რუსეთის დახმარებას ადამიანური თვალსაზრისით შეხედა. და ამავე თვალსაზრისის გამო სავსებით გაიზიარა ჩვენი მთავრობის წინადადებაც საქართველოდან წითელი ჯარის გაყვანის შესახებ.

იგი ცნობს რუსეთის ხალხის უფლებას ისეთი მთავრობა ჰყავდეს, როგორიც მას სურს. ევროპის მუშათა კლასი გარედან მას არ ახვევს თავზე ძალით თავის წყობილებას. მაგრამ ამასვე მოითხოვს იგი მოსკოვისაგანაც. საქართველოსაც უფლება აქვს თავის მთავრობა ჰყავდეს და არა წითელ არმიელების ხიშტით მოყვანილი!

ამით ევროპის დემოკრატია ჩვენთან ერთათ უარყოფს ბოლშევიკების ველურ იმპერიალიზმს, უარყოფს მათგან საქართველოზე ბატონობას, რომელსაც მოაქვს ამ ერში შიმშილი და ეპიდემიები. ამიტომ იგი ამბობს: დაეხმარეთ რუსის ხალხს, მიუხედავათ საბჭოთა მთავრობის ყოლისა. დაეხმარეთ საქართველოს და შოაშორეთ მას ის ხიშტები, რომელნიც ამშევენ და აწიოკებენ.

ესაა პოლიტიკა ნამდვილ დემოკრატიული, პროლეტარული, ანტი-იმპერიალისტური, ესაა ღირსეული დაფასება ადამიანის, ერის, პიროვნების თავისუფლების.

და მხოლოდ თ. ლლონტის მოსყიდულ კალამს შეუძლია ასეთ აზრის გამოთქმას ახირებული უწოდოს, ხოლო ბოლშევიკების ჯალათურ პოლიტიკას ქება შეასხას (იხ. «ტრიბუნა» № 31). მხოლოდ ერის მოღალატეს შეუძლია უცხო ჯარის შემოსევას ტაში დაუკრას და მისი თავიდან მოცილება ცოდვათ ჩათვალოს.

მართალია მას უფლება აქვს ასე იფიქროს და სწეროს, საფასურისათვის. მაგრამ არავის არ აქვს უფლება ეს დემოკრატიული და რევოლიუციური პრინციპების სახელით ასაღოს. ესაა პრინციპი მოღალატის და არა რევოლიუციონერის. რევოლიუციონერი კი ერის მოღალატე არასოდეს არ ყოფილა.

ევროპის მუშათა კლასმა განურჩევლათ მიმართულებისა მიიღო ჩვენი დებულება და იგი თავის ლოზუნგათ გაიხადა.

კიდევ მეტი, იგი იმდენათ მარტივი და ნათელი იყო, რომ ბურჟუაზიულმა ევროპამაც მას გვერდი ვერ აუხვია და იძულებული იყო მუშების შემდეგ მასაც იგივე განემეორებია.

ამ რიგათ საქართველოს სიმართლე საყოველთაოთ იქნა ცნობილი. რუსეთის უხეში იმპერიალიზმის საქციელის შერცხვათ თვით ევროპის იმპერიალისტებს.

მაშ ასე, შიმშილის გარშემო სამი არსებითი პრინციპი დატრიალდა: ბოლშევიკური ტირანიის, ევროპის ბურჟუაზიის და ევროპის მუშების, რომელიც იმავე დროს არის პოლიტიკა ჩვენი მთავრობის.

აქაც ჩვენ ნამდვილ რევოლიუციურ და სწორ გზას ვაწარმოვებთ, ბოლშევიკები კი რეაქციონურს. ჩვენ შიმშილის სიკითხი ხალხთა თავისუფლებას დაუკავშირეთ, მათ ხალხთა დამონებას და ბორკილებს.

მით უარესი მოსკოვის დიქტატორებისათვის.

მრავალ მილიონ ჩამოძვალტყავებულ ხალხის უზარმაზარ სასაფლაოზე გაითხრება ბნელი სამარე, სადაც წყევა-კრულვით გააცილებენ ამ უკანასკნელ ამონაკვნესს რუსეთის აზიური ბარბაროსობისას, მოსკოვის ბოლშევიზმს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პასუხი „როსტას“.

ბოლშევიკურმა სააგენტომ «როსტა»-მ გაავრცელა დეპეშა, რომელიც ბრალს სდებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, თითქო იგი 1920 წელში «აწვდიდა ვრანგელის ჯარს და აგრეთვე ჩრდილო-კავკასიის თეთრგვარდიელებს ამუნიციას და სხვა სამხედრო მოწყობილობას.

იმოწმებს რა «მენშევიკურ მთავრობის ოფიციალურ აგენტების მიერ ვრანგელის მთავარ ბანაკისადმი მიწერილი წერილების ორიგინალურ ტექსტებს, სააგენტო გვაბრალებს ჩვენ 1920 წლის აგვისტოში განსაზღვრულ რაოდენობის ნავთის გაგზავნას სევასტოპოლში და ამ საქონელს მოკლეთ «ამუნიციას» უწოდებს» *).

მე გადაჭრით უნდა უარვყო ყველა ეს ბრალდებები.

სააგენტოს მიერ მოხსენებული «ორიგინალური ტექსტები» არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს; დამოკიდებულება ჩვენსა და დენიკინ-ვრანგელს შორის ისეთი ხასიათის იყო, რომ შეუძლებელს ხდიდა რაიმე მიწერმოწერას რესპუბლიკის მთავრობასა და კონტრ-რევოლიუციურ გენერალურ შტაბს შორის.

მართალია ჩვენ მუდამ მოწადინებული ვიყავით რაც შეიძლება მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობა დაგვეჭირა რუსეთის ხალხთან გაურჩევლად იმისა,—თუ რომელ დიქტატურის ქვეშ იჩაგრებოდა ის, დენიკინ-ვრანგელის თუ ლენინ-ტროცკის. ეს ურთიერთობა საჭირო იყო ჩვენთვის როგორც ორი ხალხის ერთმანეთთან დასაახლოებლათ, ისე საქართველოს უზრუნველსაყოფათ სურსათის მხრივ.

მაგრამ კონტრ-რევოლიუციურმა გენერლებმა არამც თუ შეუწყვეს ხელი ჩვენს რესპუბლიკასთან ეკონომიურ ურთიერთობის დამყარებას, არამედ პირიქით, სიკვდილით დასჯის მუქარით, აუკრძალეს თავის ქვეშევრდომებს საქართველოში რაიმე სურსათ-სანოვაგის გამოგზავნა.

ეს პოლიტიკა მით უფრო მავნე იყო საქრთველი ხალხისათვის, რომ მას სავსებით იზიარებდენ საბჭოთა რუსეთის ბელადებიც. როგორც კონტრ-რევოლიუციურ გენერლებს, ისე ამათ ეჯავრებოდათ ჩვენი ქვეყანა, ესენიც ისე, როგორც პირველნი, ცდილობდენ საქართველოს ხალხის დამშევით დაემხოთ მისი თავისუფლება და დამოუკიდებლობა და ამ მიზნით ამათაც ბლოკადის ქვეშ გამოაცხადეს ჩვენი საზღვრები.

მაგრამ ამ ბლოკადამ მიზანს ვერ მიაღწია. საქართველოს მთავრობამ შესძლო ქვეყნის უზრუნველყოფა სურსათით ბათომში უცხოელ კომერსანტებთან ურთიერთობის დამყარებით. ამ უკანასკნელთ მთავრობა ხორბლის ნაცვლათ აძლევდა ნავთს, ხე-ტყეს და სხვ. შეუძლებელია იმის გამორკვევა—თუ საით აგზავნიდენ შემდეგ ამ საქონელს ეს კომერსანტები. ადვილათ შეიძლება, რომ ერთი ნაწილი გაიგზავნა რუსეთის იმ ადგილებში, რომლებიც თეთრი არმიის ხელში იყო, მეორე ნაწილი კი—იმ ადგილებში, სადაც წითელი ჯარები იყო გაბატონებული.

რაც შეეხება ჩრდილო-კავკასიის მთიელებს, ე. ი. ჩვენს მეზობლებს, რომლებიც თავის დამოუკიდებლობის დასაცავათ ებრძოდენ ჯერ დენიკინის არმიას, ხოლო შემდეგ ბოლშევიკურ ჯარებს—ჩვენი სიმპატია, რა თქმა უნდა, მათ მხარეზე იყო. და ამიტომ ჩრდილო-კავკასიის ლტოლვილებმა თფილისში მეზობლური თავშესაფარი ჰპოვეს. და, თუმცა მე არაფერი ვიცი

---

*) აი ტექსტი იმ დეპეშისა, რომელიც საფრანგეთის კომუნისტურ გაზ. „ჰუმანიტე“-ში დაიბეჭდა 8 ოქტომ.:

მ ო ს კ ო ვ ი, 30 სექტემბერი. იმ დოკუმენტების შესწავლა, რომელიც საქართველოს მენშევიკურ მთავრობას დარჩა თფილისში აქედან გაქცევის დროს, უტყუარ დამამტკიცებელ საბუთს იძლევა იმისას, რომ 1920 წელში მენშევიკური მთავრობა აწვდიდა ვრანგელის ჯარს და აგრეთვე ჩრდილო-კავკასიის თეთრ-გვარდიელებს ამუნიციას და სხვა სამხედრო მოწყობილობას. ამნაირათ, მენშევიკური მთავრობა უტიფრად არღვევდა ნეიტრალობის ხელშეკრულებას, რომელიც მას დადებული ჰქონდა საბჭოთა მთავრობასთან. მენშევიკურ მთავრობის ოფიციალურ აგენტების მიერ ვრანგელის მთავარ შტაბისადმი მიწერილ წერილების ორიგინალურ ტექსტიდან აშკარა ხდება, რომ მხოლოდ ერთი თვის—1920 წლის აგვისტოს განმავლობაში გაიგზავნა სევასტოპოლში ვრანგელის ჯარის საჭიროებისათვის 34,097 ფუთი ნავთი, 967 ფუთი ზეთი, ბევრი ხე-ტყეულობა და ჯარის მოწყობილობა. რომ გაგზავნილის დანიშნულება არ გამომჟღავნებულიყო, საქონელი და ნივთები იგზავნებოდა ფიქტიური მისამართით. ინჟინერმა პაანიდ სულთანოვმა საქართველოში თოფები და იარაღები იყიდა ჩრდილო-კავკასიის რეაქციონურ ფრონტისათვის. ამ დოკუმენტების შინაარსი ნათელს ჰფენს საქართველოს მენშევიკურ მთავრობის სამარცხვინო პოლიტიკას და ააშკარავებს ბ.ბ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა ს, რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ს და კომპანიის ნამდვილ სახეს, რომლებიც ანტანტის მთავრობათა მფარველობის ქვეშ აწარმოებენ ცილისწამების საზიზღარ კამპანიას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. «როსტა».

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმის შესახებ—ყიდულობდენ თუ არა ისინი იარაღს ჩვენს ქვეყანაში, რომელიც თვით მოკლებული იყო ყოველივე სამხედრო მოკაზმულობას, მაგრამ შესაძლებლათ მიმაჩნია, რომ ამა თუ იმ მთიელს ეყიდოს თბილისის სავაჭროებში ძველი ხანჯლები ან თოფები.

ბოლშევიკებისთვის რომ გვესიამოვნებია, ჩვენ ალბათ ერთი მხრით უნდა გვეცადა, სანამ დენიკინ-ლენინის ბლოკადა ჩვენს ხალხს დაამშევდა, მეორე მხრით კი უნდა გვეღალატნა ჩვენი მეზობლებისათვის იმ მომენტში, როცა ვრანგელ-ტროცკის იმპერიალიზმს მოჰქონდა მათზე იერიში! ეს მართლაც არ ჩაგვიდენია ჩვენ.

რა მიზნით აქვეყნებს «როსტა» თავის მოჭორილ ცნობას?

მას უნდა თავისი მოჭორილი ბრალდებებით დაუკარგოს გავლენა იმ პროტესტის ხმას მოსკოვის უზურპატორების წინააღმდეგ, რომელიც უფრო და უფრო ძლიერად მოისმის დასავლეთ ევროპაში მოსკოვის ჯარების მიერ დაჯერილ, გაძარცვულ და დამშეულ საქართველოდან.

ნ. ჟორდანია.

7 ოქტომბერი, 1921 წ.

ამხ. პარმენ ჭიჭინაძე

კიდევ ერთი საუკეთესო ამხანაგი დავკარგეთ! კიდევ ერთი ძველი გამოცდილი მებრძოლი გამოაკლდა ჩვენს რიგებს! აღარ არის ის, ვინც ოცდა ხუთი წელი იბრძოდა საქართველოს დემოკრატიის უფლებებისთვის, ვინც მთელი თავისი ძალი და ღონე მუშათა კლასის განთავისუფლების საქმეს შესწირა, ვინც სოც.-დემოკრატიულ პარტიას ემსახურა!

— მეტეხში ტვინის ანთებით გარდაიცვალა ამხ. პარმენი. ბოლშევიკების მთავრობამ მხოლოდ უკანასკნელ წუთს მისცა ნება მის ამხანაგებს და მეგობრებს გადაეყვანათ იგი ციხედან საავადმყოფოში, მას თავზე ადგა ამხ. სილიბისტრო, მარა ვეღარ ვუშველეთ, ხელიდან გამოგვეცალა, დასაფლავება დანიშნულია თფილისში 9 ოქტომბრისთვის... ასე გვამცნო მოკლეთ ამხანაგმა საქართველოდან ეს სამწუხარო ამბავი, რომელმაც ყველას თავზარი დაგვცა და დაგვაღონა.

რუსის წითელი არმიის მიერ დაპყრობილი საქართველო რომ საშინელ წუთებს განიცდის, ეს ვიცით. რომ საქართველოს ბოლშევიკური მთავრობა განსაკუთრებით ავიწროებს საქართველოს მუშებსა და დემოკრატიას და სდევნის მათ ხელმძღვანელთ, ესეც ცხადია; რომ საქართველოში ჩვენი ამხანაგები საშინელ სულიერსა და ფიზიკურ ჯანჯვას განიცდიან ჩეკის «პოდვლებში» და კომუნისტების «გამასწორებელ სახლებში», ამაშიც დარწმუნებული ვართ და ვიცით, რომ ციხეებში მოთავსებული ამხანაგები კარგი ხანია ავათმყოფობენ. მარა არ გვეგონა, რომ პირველი მსხვერპლი ამხ. პარმენი შეიქნებოდა! პარმენის ავათმყოფობის შესახებ არავინ არაფერს არ გვწერდა, ჩვენ სხვების გვეშინოდა და აი, მოულოდნელათ ეს საშინელი ამბავი!....

ვინ იყო ამხ. პარმენი?

იგი იყო საშუალო შე'ლების აზნაურის შვილი სოფ. გოდოგნიდან (ქუთ. მაზრა). მამა მისს მეტი ვაჟი არ ყავდა და ამიტომ მიუხედავათ სიღარიბისა, პარმენი შეიყვანა ქუთაისის გიმნაზიაში, რომელიც მან 1893 წელს გაათავა. იგი ამავე წელს შევიდა ხარკოვის უნივერსიტეტში საექიმო ფაქულტეტზე და დაასრულა 1898 წელს. ეს ის ხანა იყო, როდესაც რუსეთში განსაკუთრებული გავლენა მოიპოვა სოც.-დემოკრატიამ მუშათა წრეებში და ინტელიგენციაში, კერძოთ კი—სტუდენტობაში. მარქსიზმის იდეური გეგემონია ამ ხანებში უდავო იყო. ერთის მხრით ლეგალური მარქსიზმი—პეტრე სტრუვესა და ტუგან-ბარანოვსკის მეთაურობით, და მეორეს მხრით «შრომის განთავისუფლების ჯგუფი»—პლეხანოვის, აქსელროდის, ზასულიჩისა და დეიჩის მეთაურობით, ალღობდენ საზოგადოებრივი აზროვნების რეაქციის ყინულს და იდეურათ და ორგანიზაციულათ რაზმავდენ ჯერ კიდევ არავისგან არ ცნობილს, მარა უკვე გამოფხიზლებულსა და ამოძრავებულ მუშათა კლასს.

რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნობის მოძრაობის განვითარების ახალმა ხანამ გაიტაცა ამხ. პარმენი, იგი მოწინავე სტუდენტობასთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთათ ჩაება ბრძოლაში. ამ ხანის სტუდენტობის მოძრაობას საერთოთ განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობა მიეცა და კერძოთ, ხარკოვის სტუდენტობამაც დიდი როლი ითამაშა მაშინ ამ მოძრაობაში. ამ დროს ხარკოვში მუშაობდა ქართველი ბოლშევიკების დღევანდელი ბელადი და მაშინ კი სოც.-დემოკრატათ ცნობილი, მიხა ცხაკაია. ცხაკაიასთან ნაცნობობამ კიდევ უფრო დააკავშირა ამხ. პარმენი სოც.-დემოკრატიასა და მუშათა კლასთან. ასე რომ, 1898 წელს, სამშობლოში დაბრუნებისას, ის უკვე გარკვეული მარქსისტი იყო.

საქართველოში ამ დროს უკვე ჩამოყალიბებული იყო მესამე დასი და ფეხს იკიდებდა მუშათა მოძრაობა. მეტათ ძნელი იყო ამ ხანაში მუშაობა. მესამე დასელებს გაცილებით უარესი პირობები ქონდათ, ვინემ რუსის მარქსისტებს.

ჩვენში მუშათა კლასი, ამ ახალი მოძღვრების დედაბოძი, მეტათ სუსტი იყო. რუსეთში კი, უკვე ფართო ხასიათს ღებულობდა მუშათა მოძრაობა. ზოგიერთ ქალაქებში მუშები ინტელიგენციის დამოუკიდებლათ აარსებდენ სოც.-დემოკრატიულ ჯგუფებს და მუშებივე ხელმძღვანელობდენ ეკონომიურ გაფიცვებს.

რუსის მარქსისტებს არ უდგათ წინ მწვავეთ ნაციონალური საკითხი, არ უხდებოდათ მის გარშემო პრაქტიკულათ მუშაობა. ჩვენში კი, იგი ყოველ ფეხის გადადგმაზე გხვდებოდა და უნდა შეეფერისათ გაგეცა პასუხი მისთვის.

გარდა ამისა, რუსეთში მარქსისტებს ეავდათ რევოლიუციონური წინაპრები, იყო რევოლიუციონური ბრძოლის ისტორია. მესამე დასელები ყოველივე ამას მოკლებულნი იყვენ და განიცდიდენ ღონეს იდეური მოწინააღმდეგეებისგან.

მოკლეთ, მესამე დასელობა, მის რიგში ყოფნა და ბრძოლა არ იყო ადვილი საქმე. იგი მხოლოდ რჩეულებსა და იდეის ფანატიკოსთ შეეძლოთ. მიუხედავათ ამისა, ახალგაზდა ექიმი პირველ დღიდანვე ჩაება დასელთა მუშაობაში, აიკიდა მძიმე ჯვარი და ამ დღიდან იგი მას ერთი წამითაც არ დაუგდია. არ დაუგდია მაშინაც კი, როცა ჩვენი ქვეყანა ბოლშევიკებმა რუსის ჯარის ხიშტებით დაიპყრეს და მეფის რეაქციაზე უფრო საშინელი რეაქცია დაამყარეს იქ.

ამხ. პარმენმა პირველათ მუშაობა ქუთაისში დაიწყო. სულ მცირე დროის შემდეგ თითქმის ყველამ იცოდა, რომ ექიმი ჭიჭინაძე დასელი იყო. დემოკრატიულ წრეებში მალე დაიმსახურა სიყვარული და პატივისცემა, ხოლო ანტიდემოკრატიულ წრეებში—მტრები გაიჩინა. ამას იდეურ წინააღმდეგობას გარდა ხელს უწყობდა ამხანაგის პირდაპირობა და ხასიათის სიფიცხე.

ქუთაისში ამ დროს დაარსდა მუშებისა და მოსწავლე ახალგაზდობის პატარ-პატარა წრეები. პარმენი მათში მუშაობდა, და განსაკუთრებით დიდი გავლენა ჰქონდა მოსწავლე ახალგაზდობაში. ეს იყო არალეგალური მუშაობა. მარა მესამე დასი თავიდანვე დიდ ყურადღებას აქცევდა ლეგალურ მუშაობას და სასტიკ ბრძოლას აწარმოებდა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში გაბატონებულ მოწინააღმდეგეთა მიმართ. ამხ. პარმენი ამ სფეროშიდაც თვალსაჩინო როლს თამაშობდა. შავიქვის მრეწველთა ყრილობებზე, ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კრებებზე და სხვა ასეთებზე ამხ. პარმენი იყო ყოველთვის დასელების წარმომადგენელი და მკაცრათ აკრიტიკებდა მოწინააღმდეგეთ. რამდენათაც ვიცი, ერთხელ ოპოზიციამ კიდეც გაიყვანა იგი სათავად-აზნაურო გიმნაზიის სამეზრუნველო კომიტეტში.

გარდა ამისა ამხ. პარმენს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქუთაისში საღამოს შკოლების დაარსებაში. აქ თავს უყრიდენ ახალგაზდა მუშებსა და ნოქრებს, ასწავლიდენ მათ წერა-კითხვას და შემდეგ აქედან ჰკრეფდენ უფრო ნიჭიერებს და უხსნიდენ სოც.-დემოკრატიულ მოძღვრებას.

ამხანაგის ყოველივე ეს მუშაობა არ დარჩა მთავრობის მხრით უყურადღებოთ და 1903—თუ 1904 წ. პარმენი დაიჭირეს და რუსეთში გადაასახლეს. მან მუშაობა რუსეთშიც განაგრძო, მარა იქ მაინც ვერ გაჩერდა, 1905 წ. დასაწყისში გამოიპარა სამშობლოში და დაიწყო არალეგალურათ მუშაობა, ხოლო მანიფესტის შემდეგ, ისევ ლეგალურ ასპარეზზე გამოვიდა. ამ დროს რევოლიუციონურმა მოძრაობამ რუსეთში ფართო ხასიათი მიიღო და იარაღით დაიწყო ბრძოლა ქუჩებში. ჩვენში სოც.-დემოკრატიის მეთაურობით შეუდგა ხალხი მეფის ჯარის განიარაღებას. ამხ. პარმენი ქუთ. საგუბერნიო რევოლიუციონურ სამხედრო შტაბში იყო (მასში მონაწილეობას იღებდენ შემდეგი

ამხ.: გრ. ლორთქიფანიძე, კ. ქარციეაძე, კ. სულაქველიძე, ლ. ქავთარაძე (უცხოეთში გარდაიცვალა), ზ. გურული, ნ. ჩხიკვაძე და სხვები) და ხელმძღვანელობდა ამ მოძრაობას. რევოლიუციონურმა კომიტეტმა ძველი ქალაქის გამგეობა გადააყენა და ქალაქი რევოლიუციონერებს ჩააბარა. სოც.-დემოკრატების მხრით იქ ამხ. პარმენი იყო გაგზავნილი.

1905 წლის რევოლიუცია დამარცხდა, დაიწყო საშინელი რეაქცია; სხვა ამხანაგებთან ერთათ ამხ. პარმენიც იძულებული შეიქნა არალეგალურათ ემუშავა. ამ დროს პოლიციელებმა მოჰკლეს ახალგაზდა ნიჭიერი სტუდენტი სოც.-დემოკრატი იცკა რიქინაშვილი. დაიწყო თეთრი ტერორი და პარმენიც იძულებული შეიქნა ქუთაისიდან თფილისში გადასახლებულიყო და იქ განეგრძო თავისი მუშაობა.

1906 წ. ქუთ. სოც.-დემ. ორგანიზაციამ იგი შემაერთებელ სიეზდზე გაგზავნა თავის წარმომადგენლათ, რომელშიც იგი ქართველოვის ფსევდონიმით იღებდა მონაწილეობას.

რეაქცია თანდათან გაძლიერდა, თფილისში თითქმის ყველა «პროფესიონალები» დაიჭირეს შვიდში და რვაში. ამისგამო მუშაობა სულ მცირე ჯგუფს დააწვა კისერზე. ამხ. პარმენი ამ დროს თფილისში მსახურებდა ტრამვაის მოსამსახურეების ექიმათ, მარა უმთავრეს დროს პარტიულ მუშაობას ანდომებდა. იგი მუშაობდა საოლქო კომიტეტში და ამხ. კ. გოგუასა და რამდენიმე ამხანაგებთან ერთათ უხდებოდა პარტიული მუშაობისა და გაზეთის ხელმძღვანელობა. ჟანდარმერიას არ დარჩა არც ეს შეუმჩნეველი.

1908 წელს დაიჭირეს ტრამვაის მუშები 48 კაცი, მათ შორის პარმენიც და რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ გაანთავისუფლეს. მარა ეს იყო მხოლოდ დროებით. ჟანდარმერია მას თვალყურს ადევნებდა და ყოველთვის სახეში ჰყავდა.

1910 წ. კიდევ ერთხელ გაანადგურა რეაქციამ ჩვენი ორგანიზაციები, დაიჭირეს მოწინავე მუშები, დახურეს გაზეთი და დაატუსაღეს მასში მომუშავენი, მათ შორის ამხ. პარმენიც. ჩვეულებისამებრ რამდენიმე თვეს მეტეხში ამყოფეს და მერმე გადაასახლეს კავკასიის საზღვრებიდან. ამ დროს საქართველოდან გადასახლებულთა ცენტრი დონის-როსტოვი იყო და პარმენიც იქ წავიდა.

როსტოვში მან მოკიდა ხელი თავის პროფესიას და მალე მთელს ქალაქში გაითქვა სახელი, როგორც საუკეთესო ექიმმა. მიუხედავათ ამისა, პარმენს თავი არ დაუნებებია პარტიული მუშაობისთვის. ამ დროს როსტოვში გადასახლებული იყვნენ—ამხ. ნოე რამიშვილი, ნ. ელიავა, ს. დევდარიანი, გრ. ლორთქიფანიძე და სხვები. ისინი ადგილობრივათაც მუშაობდენ (გადასახლებულებმა დიდი ენერგია დახარჯეს მუშა სოც.-დემ. ტულიაკოვის მეოთხე სახ. დუმაში გაყვანაში) და დახმარებას უწევდენ საქართველოში დარჩენილ მომუშავე ამხანაგთა მცირე ჯგუფსაც. პარმენი ამ მუშაობაშიც იღებდა ახლო მონაწილეობას.

1914 წელს თებერვალში დონის-როსტოვში მოხდა სახალხო უნივერსიტეტის წევრთა კრება, რომელზედაც ერთხმათ აირჩიეს თავმჯდომარეთ ამხ. პარმენი და გააშავეს ცნობილი პარამანოვი და სხვა ბურჟუაზიული საზოგადო მოღვაწენი. გარდა ამისა, ამხანაგი მიიწვიეს მუშებმა საავათმყოფო კასის ექიმათ და მათ შორის დიდი სიმპატია დაიმსახურა. ჟანდარმერიამ არც ამ შემთხვევაში დასტოვა იგი უყურადღებოთ, დაატუსაღა და ორი თვის შემდეგ გაანთავისუფლა. მას აქედანაც უპირებდენ გადასახლებას, მარა გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა დახმარებით მისცეს ისევ იქ ცხოვრების ნებართვა.

1917 წლის რევოლიუციამ ამხ. პარმენს როსტოვში მოუსწრო და იგი აქ ჩაება მუშაობაში. ამხანაგებმა რევოლიუციის პირველ დღეებშივე მიმართეს დაბრუნებულიყო სამშობლოში, მარა 1919 წლამდის მან ეს ვერ მოახერხა. დაბრუნებისთანვე ამხ. პარმენი დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგათ, რამდენიმე ხნის შემდეგ იგი აირჩიეს ერობათა კავშირის გამგეობის თავმჯდომარეთ და რამდენიმე თვეს ორივე მოვალეობას ასრულებდა ერთათ. 1920 წლის დამლევს იგი დაინიშნა სამხედრო მინისტრათ. ამხანაგებს იმედი ჰქონდათ, რომ იგი, როგორც მტკიცე ხასიათის და დიდი ენერგიის მქონე პიროვნება სამხედრო უწყებას კარგათ დააყენებდა, მარა ვერც კი მოასწრო უწყების გაცნობა, რომ მოღალატურათ თავს დაგვესხა მოსკოვის დიქტატორთა ჯარები და ჩვენი ქვეყანა დაიპყრო.

ამხ. პარმენმა კარგათ იცოდა, რომ ბოლშევიკები მას არ დაინდობდენ, მარა რადგან მოწინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმდეგენი მის წინააღმდეგ აწარმოებდენ შეუფერებელ კომპანიას, საქრთ. დარჩა. მას სწამდა, რომ საერთო საქმისთვის ასე სჯობდა. იგი თავის სოფელში წავიდა, დილიდან საღამომდის მუშაობდა ყანაში და ცოლშვილთან ერთათ სცხოვრობდა მარტო მჭადით. მარა მახარაძის მთავრობას ესეც შეეხარბა მისთვის. 7 ივნისს ქუთაისის გუბჩეკამ დაატუსაღა, რომ გზაში არ მოეკლათ მთვრალ მილიციონერებს, ცოლშვილი გამოეგზავნა ქუთაისამდის ფეხით 12 ვერსზე. მას უკანასკნელათ ქუთ. ჩეკაში შეეხვდი, თმა და წვერი მოზრდოდა, მზისგან დამწვარიყო, ხელებზე მაზოლები ქონდა და ერთი სიტყვით სოფლის მუშას დამსგავსებოდა. მიუხედავათ ამისა, იგი იმედიანათ გამოიყურებოდა, თავი ამაყათ ეჭირა და თვით ჩეკისტებიც კი, მორიდებით ეპყრობოდენ.

15 ივნისს, დილით ძლიერ ადრე ის, გრ. ლორთქიფანიძე და რამდენიმე სხვა ამხანაგი მოულოდნელათ ქუთაისიდან თფილისში გაგზავნეს. ადრე გაიყვანეს ციხიდან სადგურზე, რადგან ეშინოდათ ხალს თანაგრძნობის დემონსტრაცია არ გაემართა მათთვის. სამაგიეროთ თფილისის ხალხი შეხვდა მათ ქუჩებში აღფრთოვანებით.

გაბრაზებულმა ბოლშევიკებმა გული იმით მოიფხანეს, რომ ისინი «გრუზჩეკის» პოდვალში ჩაყარეს და ათი დღის განმავლობაში საშინელ პირობებში ამყოფეს. ყველაფერს ავიტანდით, მარა მკბენარებს ველარ გავუძელითო, გადმომცა ერთმა განთავისუფლებულმა ამხანაგმა. ბოლოს, როგორც იყო, აღირსეს მეტეხში გადაყვანა, მარა როგორც სხვა ამხანაგებისთვის, ისე არც მათთვის ბრალდება დღემდის არ წამოუყენებია არც ჩეკასა და არც რეკომს. ან რათ წამოუყენებენ?! მათი მიზანი ხომ სიმართლის აღდგენა არ არის! მათი მიზანი იყო მოწინააღმდეგეებზე შურის ძიება [და ამას კიდეც ასრულებენ. და აი, მსხვერპლი ბოლშევიკების შურის-ძიებისა გახდა ამხ. პარმენიც!..

პარმენი იყო არა «პარტიასთან ახლოს მდგომი ამხანაგი», არამედ, თვით პარტიაში მყოფი დღიდან ჩვენი პარტიის დაარსებისა. მას იგი უყვარდა და უკანასკნელათაც მის სახელსა და ავტორიტეტს შესწირა თავი.

მშვიდობით ძვირფასო ამხანაგო, შენ არასოდეს არ დაგივიწყებს შენი ამხანაგები და ქართველი ხალხი!

კ.—ჟი.

საქართველო და ევროპა.

საფრანგეთის პრესა საქართველოს მდგომარეობაზე.

საფრანგეთის გაზეთებში აწერილია, თუ რა მდგომარეობაშია საქართველოს რკინის-გზა ბოლშევიკების ექვსი თვის გამგებლობის შემდეგ. მოხსენებულია მმოძრავ შემადგენლობის გატაცება, მატარებლების რიცხვის შემცირება და სამგზავრო ტარიფის გადიდება.

გაზეთები იმ დასკვნამდის მიდიან, რომ საბჭოთა საქართველოში რკინის-გზა ხალხისთვის აღარ არსებობს და ის გადაიქცა ფუფუნებათ, რომელიც ხელმისაწვდენია მხოლოდ კომუნისტებისათვის.

დამფუძნებელ კრების წევრთა მოწოდება.

ინგლისის ყველა გაზეთებში გამოქვეყნებულია საქართველოს დამფუძნებელ კრების წევრთა მოწოდება, რომელიც ჩვენი გაზეთის მე-8 №-ში იყო მოთავსებული. გაზეთები თავის მხრივ ხაზს უსვამენ იმ ბოროტ-მოქმედურ პოლიტიკას, რომელსაც მოსკოვის მთავრობა ატარებს ქართველი ხალხის მიმართ.

ბელორუსების კონფერენციაზე.

27 სექტემბერს, ქ. პრაგაში გაიხსნა ბელორუსების კონფერენცია დ-რ ცვინკოვიჩის თავმჯდომარეობით. კონფერენციის მიზანია ბელორუსების მომავალი მდგომარეობის გამორკვევა და მისი თავისუფლების მოსაპოვებლათ გზების გამონახვა.

კონფერენციას დაესწრო საქართველოს სოც.-დემ. პარტიის წარმომადგენელი, რომელმაც მიულოცა კონფერენციას გახსნა. მთელი კრება განსაკუთრებული თანაგრძნობით შეხვდა საქართველოს წარმომადგენელს, და ოვაციები გაუმართა მას. მისი სიტყვის დასასრულს მთელი კონფერენცია ფეხზე წამოდგა და გაისმა ენერგიული: «გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას». საერთოთ სხვა განაპირა ერებშიაც თანაგრძნობა საქართველოს დამოუკიდებლობისადმი იზრდება.

3449 მუშის მოწოდების გამო.

საფრანგეთის სინდიკალისტთა გაზეთ «ლე პეპელ»-ში 27 სექტ. № 266. მოყვანილია 3449 მუშის მოწოდება და თან დართული აქვს წერილი სინდიკატთა ერთი მეთაურთაგანის—მერჰეიმის, რომელშიაც უკანასკნელი კონკრეტიულ მაგალითებით ასურათებს მოწოდების სრულ სიმართლეს, ჩამოთვლის მთელ რიგ ჩვენ დატუსაღებულ ამხანაგებს, მოჰყავს სტალინის 5 ივლისს შერცხვენა მუშებისაგან, და ემხრობა რა დე ბრიუკერის წერილს, რომელიც ჩვენი გაზეთის ამავე ნომერში გვაქვს გადმოღებული, ბოლოს დასძენს: ნუ თუ ყველა პარტიები და ორგანიზაციები დაუყონებლივ არ გამოუცხადებენ პროტესტს მოსკოვის კომისრებს ასეთ მოღვაწეობისათვის?

შვეიცარიის საზოგადო მოღვაწეები.

შვეიცარიის გამოჩენილმა მოღვაწეებმა გამოაქვეყნეს სექტემბერში მიმართვა ერთა ლიგისა და მთელი კაცობრიობისადმი საქართველოს მდგომარეობის შესახებ. მიმართვას ხელს აწერენ: ქენევის უნივერსიტეტის რექტორი ფიულიკე, დეპუტატი ლაშენალი, პელ ჰიკტე. ქან მარტენი—«ჟურნალ დე ქენევ»-ის რედაქტორი. მოგვყავს მცირედი შემოკლებით ამ დოკუმენტის შინაარსი.

მის ავტორებს არ სურთ იდაონ იმის შესახებ, თუ რა წილი უდევს ბოლშევიკურ მთავრობას რუსეთის დამშევაში. მაგრამ მათთვის უდაოა, რომ საქართველოს დამშევა ბოლშევიკების შემოჭრით და ბატონობით არის გამოწვეული: «იქედან (საქართველოდან) წინათ მუდამ კარგი ცნობები მოდიოდა. ავტორიტეტული პირები და ორგანიზაციები, რომელთაც შეუსწავლიათ ამ ქვეყნის მდგომარეობა, ერთხმად მოწმობდენ ამ პატარა ხალხის წინსვლას და წარმატებას პოლიტიკურათ და ეკონომიურათ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან. და საკმარისი იყო ბოლშევიკებს ძალით დაეპყროთ ეს პატარა ქვეყანა, რომ 150,000 ჯარის-კაცმა, რომელიც პყრობს საქართველოს, შეჭამა როგორც მოსავალი, ისე ძველი მარაგი და მოიტანა თან ეპიდემიური ავათმყოფობები.

ამგვარათ შიმშილი და ეპიდემიები საქართველოში თვალსაჩინო მაგალითია ამ უბედურებათა ხელოვნური გავრცელებისა იმ ქვეყნებში, საცა ბოლშევიკების შემოჭრამდი-არც ერთს და არც მეორეს ადგილი არ ჰქონია: დიახ, ცხადია, რომ დაუყონებლივ უნდა გაეწიოს დახმარება დამშეელებს რუსეთში. მაგრამ არა ნაკლებ ცხადია ისიც, რომ საჭიროა ზომების მიღება, რათა შიმშილი და ავადმყოფობა ხელოვნურათ არ იქნას გავრცელებული, როგორც ეს საქართველოში მოხდა. ამ უკანასკნელისადმი ორგვარი ბოროტმოქმედებაა ჩადენილი: ყველა დიდ სახელმწიფოთაგან «იურიდიულათ» ცნობილი სახელმწიფო ძალით დაიპყრეს სამხედრო თავდასხმის საშვალებით და დამპყრობელმა თან მოიტანა შიმშილი და ეპიდემიები.

ჩვენ გამოვთქვამთ იმედს და რწმენას, რომ ერთა ლიგის საერთო კრების დელეგატები სერიოზულათ მოეპყრობიან ამ კითხვას, რადგან აქ საქმე ეხება არა მარტო საქართველოს, არამედ, უწინარეს ყოვლისა, უფლებრივ პრინციპის და ცივილიზაციის ფეხქვეშ გათელვას».

პოლიტიკური ტუსაღები საქართველოში.

საქართველოდან გვატყობინებენ შემდეგს:

მეტეხში სხედან მაისის თვიდან: ვლ. ჯიბლაძე (მძიმე ავათაა), ზ. გურული (ავათაა), გ. ფაღავა (ავად. გამო გაანთავ.), გ. ანჯაფარიძე, ვ. მაყაშვილი, უშ. ელიავა, ვასო ნოდია, ჩაბიშვილი, კ. კანდელაკი.

ივლისიდან სხედან: სილ. ჯიბლაძე (მძიმე ავათმყოფობის გამო გაანთავისუფლეს), ის. რამიშვილი, გ. ლორთქიფანიძე, ალ. დგებუაძე (ავათაა), გრ. შარაშიძე, ალ. ფარნიევი, ანდ. ჭიაბრიშვილი, ალ. ლომთათიძე, ბაგ. ჭუმბურიძე, ვ. სუხიშვილი, კონს. კანდელაკი, გ. მენთეშაშვილი, შ. მაღლაკელიძე, კ. გოგუა, დ. დვალი, სიმ. გოცაძე, დ. დალალიშვილი, ნ. ციწცაძე, მიშა რუხაძე, ილ. საყვარელიძე, გ. ქღენტი, არ. სარჯვალაძე, ფ. ნაკაშიძე, ი. ოქროპირიძე, ვ. გოგიშვილი, ვ. კოხრეიძე, მ. ღვინერია, დ. ლორთქიფანიძე, გ. კუტალაძე, მელ. ფერაძე, ვ. მეკარეშვილი, მიკ. ბალიანცი, კ. დვალი, ალ. ივანიცკი, ნ. კუტალაძე, ერ. კაციტაძე, მ. კერესელიძე, ან. მარგველაშვილი, ვლ. კერესელიძე, ნ. მეცხვარიაშვილი, ვლ. სანაძე, ნ. ტიგაშვილი, კ. ვაშაკიძე, პ. ფირცხალავა, ის. გზირიშვილი, ე. წოწონერია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალ. ჭოხონელიძე, დ. ჭინჭველაშვილი, მ. ჯიქაძე, ან. ვეშაგური, ან. ლიკმე-დქიმსკი, ნ. ქადაგიშვილი, მ. ქურციკიძე და სხვები. ესენი 7-ს გარდა თფილისელი მუშებია.

რკინის-გზის ჩეკაში ზის გარდა ამისა დეპოსახელოსნოს 27 მუშა. «გრუზ. ჩეკაში» საერთოთ 75 კაცია. საგუბერნიო ციხეში 165 კაცი. (ლაპარაკია პოლიტიკურებზე).

სოფლებიდან მეტეხში სხედან: ბუთხუზები, კორძაია, გამყრელიძე, ჯაბაშვილი, დვალიშვილი, ფარესაშვილი, გორართელი, ლომსაძე, კობალაძე, მურადაშვილი, თედიევი, სანიკევი, მარღიშვილი, ნ. და ზ. ცხოვრებაშვილები, ტოგონიძე, მაისურაძე, მეგრელიშვილი, ნავროზაშვილი, აბულაძე, ბაბლიძე, აზარიაშვილი, ზასოხოევი და სხვები.

ჩვენ სრული ცნობა არ გვაქვს დღეს ხელში, ვინაიდან ჭერა გრძელდება. მეტეხი და საგუბერნიო ციხე სავსეა. გურიაში 72 კაცია დაჭერილი, აქედან 26 საგუბ. ციხეშია. ბათომში დაჭერილია 28 მუშა. ყველგან ციხეები ავსილია. ტუსაღების ნივთიერი მდგომარეობა ცუდია. ღებულობენ მეოთხედ გირვანქა პურს.

დეკლარაცია

თფილისის რკინის-გზის რაიონის დელეგატთა ყრილობის ს. დემ. დელეგატებისა.

საქართველოს რესპუბლიკის რევკომის ხელისუფლების დამცარების შემდეგ მისმა პასუხისმგებელმა წარმომადგენლებმა საჯაროთ განაც აცხადეს, რომ დაიცავენ საქართველოს დამოუკიდებლობას და დაემცარებიან ადგილობრივ შეიარაღებულ ძალას, ამასთან უზრუნველყოფენ თავისუფალ სიტყვას, წერას და კრებას კანონიერ ფარგალში.

ექვსი თვე გადის და ჩვენ ვხედავთ, რომ დამოუკიდებლობა ფაქტიურათ უარყოფილია. რესპუბლიკის დაწესებულებები გაივსო ჩამოსულ ელემენტებით, რომლებიც მძიმე ტვირთათ აწვებიან ერის მშრომელ ნაწილს და დამოუკიდებელ სახელმწიფოს ამშენებლობის საქმეში აშკარა საბოტაჟს ეწევიან. ქართული ენა—ეს საზოგადოების მშრომელი ნაწილის ერთად-ერთი იარაღი, იდევნება დაწესებულებებიდან. ასე ხდება ჩვენს რკინის გზაზე, რომლის რაციონალური ექსპლუატაცია ვითომდა ამას მოითხოვდეს, ნამდვილათ კი კონტრ-რევოლიუციონურ და შოვინისტურ ელემენტების სასარგებლოთ. ადგილობრივი ლაშქარი აღარ დგება, ამის მოსაწყობათ არავინ ზრუნავს და ეს ხდება იმიტომ, რომ შემოსულ ელემენტებს ჰქონდეს საშვალება თავისი მილიტარული ძალა გაამაგროს აქ და შემდეგ აშკარათ აწარმოვოს შოვინისტურ-იმპერიალისტური პოლიტიკა. ქართველ მშრომელ ხალხს წართმეული აქვს ყოველივე საშვალება, რომ გამოსთქვას თავისი აზრი საერთო მდგომარეობაზე და ამა თუ იმ საჭირბოროტო კითხვებზე: კრების, პრესის, სიტყვის თავისუფლება მოსპობილია. არ არის საშუალება საჯაროთ გამოტანილ იქნას ის აუარებელი ბოროტმოქმედება, რომელსაც ეწევიან რევკომის აგენტები და მშრომელ მასას არ აქვს საშუალება მიუდგომელ კონტროლის. საქართველოს მშრომელი ხალხის სიმდიდრე კი იღუპება. ამავე დროს იღუპება საქართველოს რკინის-გზის მუშა-მოსამსახურეების მიერ დიდის წვალებით შენახულ-შექმნილი ვაგონები, ორთქმავლები ან და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიას სამუდამოთ შორდება. მუშა-მოსამსახურეებს კი აშორებენ მათ ოჯახებს, სამუშაო რაიონებს, თავიანთ კუთხეს და გზავნიან საზღვარ-გარეთ. ამავე დროს რკინის-გზის მეურნეობა ირღვევა და ყოველივე ეს ხდება არა მშრომელი ხალხის ნებართვით, კიდევ მეტი—არა მმართველი პარტიის საჯარო დადგენილებების შემდეგ, არამედ ანონიმური კავ—ბიუროს, ან მის ქვემდებარე დაწესებულების დადგენილებით.

საქართველოს მუშები და კერძოთ რკინის-გზელები ფიზიკურათ ნადგურდებიან უუმელობის გამო, მათი მდგომარეობა თანდათან უარესდება, იმ დროს როდესაც მათ თვალწინ ხდება უაღრესი სპეკულიაცია. ჩვენი ქვეყნისა და უცხოელი სპეკულიანტები თავისუფლათ დასეირნობენ, ხოლო უმწიკვლო საზოგადო მოღვაწეები, მოწინავე მუშები და გლეხები, ციხეებში იტანჯებიან. განსაკუთრებით სდევნიან ქართველ მშრომელ ხალხს და თანამედროვე რეპრესია ღებულობს ეროვნულ დევნის ხასიათს. არ არსებობს თავისუფალი არჩევნები. ხიშტებით, ციხით სურთ დაიმორჩილონ საქართველოს მუშები და განსაკუთრებით ეს მოხდა რკინის-გზის მუშებზე თავდასხმით. არჩევნების ერთი დღით ადრე საგანგებო კომისიის აგენტებმა

წითელ-არმიელთა დახმარებით თფილისის მთავარ სახელოსნოს ალყა შემოარტყეს, გასავალი კარები დაიჭირეს, დაიწყეს მუშების ძებნა და დაპატიმრება. 18 აგვისტოს ორი საათით წინ გამოაცხადეს არჩევნების დრო, კრებაზე მოვიდენ შეიარაღებული კომუნისტები, რაზმის უფროსმა დაატყვევა მოწინავე მუშები, რასაც მოჰყვა მღელვარება და მღელვარების დროს კომუნისტებმა წამოაყენეს თავისი სია, რომელსაც 50 კაცმა მისცა ხმა, მეორე სიის წარდგენამდე კრება აურ-ზაურში დაიშალა და რამდენიმე 1000 კაცს უფლება წაართვეს მონაწილეობის და ასე 25 დეპუტატი—კომუნისტი 50 მოყვანილ პირებს აარჩევინეს.. ქალაქ ბათომში არჩევნების წინ მოწინავე მუშები ციხეში მოათავსეს. რეპრესიებმა ისეთი ხასიათი მიიღო, რომ მუშებმა დასტოვეს ბათომი და ასე გაიყვანეს კომუნისტებმა თავიანთები. ხაშურში რეპრესიები დიდი ხნით ადრე შემოიღეს. ერთი ჯგუფი მუშების ადერბეიჯანში გადაასახლეს, ბევრი ციხეებში მოათავსეს, ზოგიერთები დაიმალნენ. არჩევნები მოხდა მხოლოდ სადგურში, სადაც ერთი დელეგატი აირჩიეს, ხოლო დეპოში არჩევნები არ მოახდინეს, მუშებმა იქ არაფერი იციან და ყრილობაზე აქ ხაშურის დეპოს მუშების სახელით კი დელეგატები ჩამოვიდენ იქაურ კომ-იაჩეიკის მიერ არჩეულები. ერთი კვირაა ნავთლულ-კახეთის რკინის გზის მუშების მიერ 7 დელეგატი არაკომუნისტი არჩეულია და მოწმობა ჯერაც არ მიუღიათ მათ და არც სალოღლის დელეგატებს, რადგანაც იქ კომუნისტები, მიუხედავათ რეპრესიებისა, ვერ გავიდენ. თფილისის სადგურის მოძრაობის დარგის და ლიანდაგის მუშა-მოსამსახურეთა პირველი კრება 18 აგვისტოს მოიწვიეს. ამ დღეს, რადგანაც კრებას საკმაოთ დაესწრენ მუშები, კრება უკანონოთ გამოაცხადეს, არჩევნები დაშალეს და 22 აგვისტოსთვის გადადვეს. მიუხედავათ ამისა 20 აგვისტოს დილით გამოაცხადეს არჩევნები 10 საათზე. მუშა-მოსამსახურეებს ეს არც გაუგიათ, მოიყვანეს სხვა და სხვა უბნებიდან თანამოაზრენი და ამ გარეშეეს აარჩევინეს დელეგატები, მხოლოდ 2,500 მუშას ხმა წაართვეს, სასურსათო განყოფილებაში კრება 30 აგვისტოს გამოაცხადეს და ნაცვლათ 1000 მოსამსახურისა 80-მა მიიღო მონაწილეობა და ასე მოხდა ყველგან საქართველოს რკინის-გზის დარგში, რომლის მგზავსი ჩვენს მუშათა კლასის ისტორიას არ მოსწრებია ცარიზმის საშინელ რეაქციის ხანაშიც.

ამიტომ ჩვენ ქართველ მშრომელ ხალხის და საერთაშორისო მუშათა კლასის წინაშე ხმამაღლა ვაცხადებთ, რომ ასეთ პირობებში მოვეული კონფერენცია მუშების ნებას სრულებით არ გამოხატავს. მის დადგენილებას არ ექნება არავითარი რეალური მნიშვნელობა. ეს არის მხოლოდ საქართველოს მუშათა კლასის აბუჩათ აგდება, მისი ინტერესების ფეხ-ქვეშ გათელვა, რომელსაც შესაფერ მსჯავრს დასდებს და დაიფასებს მთელი ქვეყნის მუშათა კლასი, განურჩევლათ მიმართულებისა, როდესაც გაიგებს საქმის ნამდვილ ვითარებას. ვაცხადებთ რა ამას, ვსტოვებთ კონფერენციას და არავითარ პასუხისმგებლობას არ ვკისრულობთ მის მუშაობის გამო—მუშათა კლასის, ერის და ისტორიის წინაშე.

———

ეს დეკლარაცია რკინის-გზელთა ყრილობაზე, რომელიც შედგა აგვისტოს ბოლო რიცხვებში, წაიკითხა სოც.-დემ. დელეგატთა სახელით ალ. კანდელაკმა. დეკლარაციას ხელს აწერენ თფილისის 17 დელეგატი ხოლო შემდეგ მათ შეუერთდა ნავთლულის 7 დელეგატი, სალოღლის 6 და კიდევ 6 დელეგატი.

მეგრძოლი საქართველო.

გაზ. «პეპლ»-ის 19 სექტემბრის №-ში დაბეჭდილია ამხ. დებრიუკერის მოწოდება, რომელიც მოგვყავს სავსებით:

«მე მივიღე წერილი, რომელმაც თვალზე ცრემლები მომაყენა. მასში მე წავიკითხე ახალი ამბები თფილისიდან, გამოგზავნილი მიუხედავათ ბოლშევიკების სასტიკი დევნისა. მისი ავტორი, ერთი იმ საუკეთესო მეგობართაგანია, რომელნიც მე იქ დავტოვე და რომელთა ღირსება და გაბედულება მე იქ გავიცანი. ეს წერილი მომითხრობს იმათშესახებ, რომლებთანაც მე გავატარე ჩემთვის დაუვიწყარი დღეები, და რომელთა უმრავლესობა დღეს ჩეკას ციხეებშია გამომწყვდეული. ის მე მომითხრობს იმ ქართველ ხალხზე, რომელსაც აქვს ასეთი ურყევი სოციალისტური და დემოკრატიული ნებისყოფა, და რომელიც მიუხედავათ მრავალ დაბრკოლებისა განაგრძობს ბოლას სახალხო მიზნების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისაღწევათ. ჩვენ ვიცით სხვა წყაროებიდან, რომ იქ შიმშილი მეფობს, რომ ეპიდემია მუსრს ავლებს მცხოვრებთ, ვიცით, რომ იტანჯება ხალხი დედამიწის ამ პატარა, ლამაზ კუთხეში, რომელსაც ის ასე დიდ ხანს იცავდა ყოველი განსაცდელისაგან. მაგრამ ამაზე ჩემი კორესპონდენტი თითქმის არაფერს იწერება. იგი თითქოს ერიდება იმას, რომ ამ ამაკი და ენერგიული ხალხის მწარე ხვედრით სიბრალულის გამოწვევის სურვილი არ დასწამონ. მას სურს მხოლოდ მამცნოს, თუ რა ბრძოლას აწარმოებენ ისინი და როგორ ახერხებენ ღირსეულათ ემსახურონ თავის მიზანს.

და ეს ბრძოლა კი გრძელდება. არა სასტიკი ბრძოლა იარაღით, არამედ ბრძოლა პოლიტიკური, დაფარული, როგორც ცარიზმის დროს. გაზეთები დახურულია, კრებები თითქმის სრულიად აკრძალული, სოციალისტური პარტია იძულებულია არალეგალურ მუშაობას დაუბრუნდეს, მარა იგი არალეგალურათაც აქტივობას იჩენს. მუშები და გლეხებიც თავს იყრიან თავის ლიდერების გარშემო და ორგანიზაციულ წინააღმდეგობას უწევენ ძალაუფლებით ბოროტათ სარგებლობას. ქვეყნის ამბებს სიტყვიერათ ავრცელებენ ერთი მეორეში, და ამ ზეპირ გადაცემით ისინი თვით შორეულ ადგილებშიაც აღწევენ. იქ იციან, როგორი საუცხოვო მიღება გაუმართეს ნ. ჟორდანიას ბელგიის მუშებმა, ინგლისის სოციალისტურმა ორგანიზაციებმა და სხვებმა.

ჩემი მეგობარი მატყობინებს, რომ «პეპლის» სტატიები, სადაც დასავლეთ ევროპის ყურადღება იყო მიქცეული საქართველოს პრობლემისადმი, თითქმის ყველა შორეულ დაბა-სოფლებს გააცნეს სიტყვიერი გადაცემით, და რომ ინტერნაციონალის მიერ მათთვის მხარის დაჭერის ცნობამ ჩვენი ამხანაგები დიდათ გაამხნევა.

ხანდისხან სოციალისტებს შემთხვევა ეძლევათ საჯაროთ გამოვიდენ. 5 ივლისს, ბოლშევიკურ ხელისუფლების წარმომადგენელმა სტალინმა რომელიც ერთი იმ იშვიათ ქართველთაგანია, რომელნიც დღევანდელ მართველობას ემხრობიან, მუშათა კრება მოიწვია. აუარებელი ხალხი გამოცხადდა კრებაზე, რადგან სოციალისტებმა მაზე დასწრება გადაწყვიტეს. აუდიტორიის დიდი უმრავლესობის მოთხოვნით სიტყვა მიეცათ მუშა დგებუაძეს და ის. რამიშვილს. მათი ლაპარაკი დაუსრულებელი ოვაციებით ჩატარდა. ისინი გახდენ იმ დღის ტრიუმფატორებათ. მაგრამ ეს გაბედულება მათი იაფათ არ დაუჯდათ. მუშა დგებუაძემ, რომელმაც პირადათ გამოსცადა ხანგრძლივი დატუსაღება ბოლშევიკების მიერ, ასე მიმართა კრებას: «მე ახლახან გამოვედი ჩეკადან. და მე ვიცი, რომ ამ სიტყვის შემდეგ ისევ იქ მიმბანებენ. მაგრამ მე მინდა მაინც დავუპირდაპირო სიმართლის ძალა სტალინის სიყალბეს». ბისი წინასწარმეტყველება ზედნადებით გამართლდა. რამდენიმე დღის შემდეგ დატუსაღებულ იქნენ: ისიც, რამიშვილიც. სოც.-დემ. პარტიის ერთი დამაარსებელთაგანი მოხუცი ჯიბლაძე, დამფ. კრების თავმჯდომარის მოადგილე ლომთათიძე და **ასამდე სხვა მებრძოლი** ამხანაგები.

მაგრამ ბოლშევიკებს ციხის კედლებიც საკმაოთ საიმედოთ არ მიაჩნიათ. მათი ოცნებაა— საბოლოოთ და რაც შეიძლება საჩქაროთ მოიშორონ თავიდან ეს სახიფათო მოწინააღმდეგენი. ამის საშვალებაა: **რუსეთში გადასახლება, რაც ნიშნავს აუცილებელ სიკვდილს.** (ხაზი ავტორისაა).

ტრანსპორტის დღევანდელ მდგომარეობაში რუსეთში ეტაპით გაგზავნილი ამხანაგები, ეჭვი არაა, მსხვერპლი გახდებიან ეპიდემიის, თუ შიმშილით სიკვდილს გადაურჩენ.

მაგრამ ნუთუ ასეთი სასირცხვო საქციელის წინ არ შეჩერდებიან ბოლშევიკები? ყოველ შემთხვევაში თუ ევროპის პროლეტარიატი გამოიჩენს საკმაო ძალას, თუ ის ხმას აღიმაღლებს, ჩვენი ამხანაგები შეიძლება გადარჩენ ამ ხიფათს, რომ თავის ოჯახს, თავის ხალხს, და თავის მიზნებს ემსახურონ.

ლ. დებრიუკერი.

ჩეხოსლოვაკიაში.

(მოხსენებიდან)

ჩეხოსლოვაკია პანსლავიზმის ბუდე იყო წინეთ, ახლა კი რუსულ პოლიტიკურ პარტიათა მთავარი ცენტრია. გარდა სოც.-რევოლიუციონერებისა აქ მრავლათ მოიპოვებიან რუს მონარქისტთა და სხვა მემარჯვენეთა წარმომადგენლები და ენერგიულ კამპანიას აწარმოებენ მთლიანი რუსეთის აღსადგენათ და რასაკვირველია განაპირა ქვეყნების წინააღმდეგ.

თვით ჩეხოსლოვაკიის პოლიტიკური აზროვნობა საერთოდ ჯერ კიდევ ძველი პანსლავის-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტური იდეების გავლენის ქვეშ იმყოფება. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია კრამარჟის პარტია, ე. ი. აგრარიებისა და ნაციონალისტების პარტია, რომელიც მთლიანი რუსეთის აღდგენას ეტრფის და რუს მემარჯვენეებს უკავშირდება. ასეთ მდგომარეობაში ბუნებრივია ჩეხოსლოვაკიის მთავრობის რყევა განაპირა სახელმწიფოებთა საკითხში. მაგრამ როგორც საფრანგეთის მოკავშირემ, ჩეხოსლოვაკიამ 3 მარტს მაინც იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა.

განაპირა კუთხეებიდან აქ არიან: უკრაინელები, ყუბანელები და ბელორუსები. მათთან ლაპარაკის დროს გამოირკვა, რომ მათ ქვეყნებში რუსეთის ძველი პოლიტიკური პარტიები გაქრენ და სრულიად ახალი პარტიები წამოიშვენ, რომელნიც უკრაინაში დამოუკიდებლობის ნიადაგზე დგანან, ხოლო ყუბანში განსაკუთრებული რესპუბლიკის შექმნას ეტრფიან, რომელიც თუ სავსებით არა, დროებით მაინც დამოუკიდებელი დარჩება, სანამ ველიკოროსიაში მტკიცე დემოკრატიული წესრიგი დამყარდებოდეს. აღსანიშნავია, რომ ყველანი ველიკოროსიაში ხანგრძლივ ანარქიას ელიან, ვინაიდან იქ ბოლშევიკების არც ერთ მემკვიდრე პოლიტიკურ პარტიას არ ხედვენ. რუსეთის ძველი პოლიტიკური პარტიები კი ეხლა უმეტეს შემთხვევაში თვითგამორკვევის წინააღმდეგ გამოდიან. გადადგმულია ნაბიჯები ამ პოზიციის შესარყევათ და თუ შეიძლება ჩვენ სასარგებლოთ შესაცვლელათ.

ვინახულე ჩეხოსლოვაკიის სოც.-დემ. პარტიის ცეკას პრეზიდიუმი და შემდეგ გერმანიის პარტიის (ჩეხოსლოვაკიაში) ცეკას წარმომადგენელი და ცენტრალური ორგანოს მთავარი რედაქტორი. ჩეხოსლოვაკებს, ავუხსენი ჩვენი საქმის მდგომარეობა, ხაზი გავუსვი იმ ორჭოფ პოლიტიკას, რასაც ჩეხოსლოვაკიის მთავრობა აწარმოებს და მოვთხოვე პანსლავისტური და იმპერიალისტური იდეების წინააღმდეგ გადაჭრით გამოსვლა და ჩვენი საქმის ენერგიული დაცვა. მათ განაცხადეს, რომ ჩვენ საქმეს ისინი კარგათ იცნობენ, მთავრობაზე შესაფერ გავლენას უკვე ახდენენ და რასაკვირველია მათ გავლენას მიეწერება საქართველოს დეიურეთ ცნობა და ის სიმპატია, რომლითაც საქართველოს საკითხს ეპყრობიან. მე მადლობა გადავუხადე და იმედი გამოვთქვი, რომ ახალი პარლამენტარული კაბინეტის შედგენის შემდეგ ჩვენი საკითხი აქ უფრო შესაფერ ნიადაგზე დადგება.

ჩეხიის გერმანელები ჩვენსავე ტაფაში იხრაკებიან და ერთა თვითგამორკვევის უფლების მნიშვნელობას კარგათ ითვალისწინებენ. ნემეცთა ს.-დემ. მოვთხოვე ვენის ინტერნაციონალზე მუდმივ გავლენის მოხდენა, აგრეთვე გერმანიის საზოგადოების საყურადღებოთ შესაფერი გამოსვლების მოწყობა, როგორც საქართველოს სასარგებლოთ, აგრეთვე რუსეთში ბინადარ ერთა თვითგამორკვევის სასარგებლოთ, ვინაიდან იქ ჯერ კიდევ ადგილი აქვს ძველი რუსეთის აღდგენის იდეას ძველ ფარგლებში. გერმანელებმა სრული თანხმობა განაცხადეს და გვთხოვეს მივაწოდოთ ცნობები ბოლშევიკების აღმოსავლეთის პოლიტიკაზე და ჩვენი აზრი რუსეთის ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ.

დასასრულ გერმანელებმა აღგვითქვეს საქართველოს შესახებ ყოველივე ცნობების მოთავსება ჩვენს სასარგებლოთ. შემდეგ მე ვინახულე სოც.-რევოლიუციონერთა პარტიის წარმომადგენლები, რომელნიც ამ ჟამათ «ვოლია როსიი»-ს რედაქციას შეადგენენ. ამ მოლაპარაკების მიზანი იყო, გამომერკვია სოც.-რევ. დამოკიდებულება საქართველოს დამოუკიდებლობისადმი და საერთოთ რუსეთში ბინადარ ერთა თვითგამორკვევის უფლებისადმი. ჩემთვის ერთხელ კიდევ გამოირკვა, რომ სოც.-რევ. პარტიაში ჯერ კიდევ ძლიერია კერენსკის ჯგუფი, რომელიც ჩვენი აშკარა მტერია. მეორე ჯგუფი, რომელშიც შედიან რედაქციის წევრები ადგია ჩერნოვის გზას, რომელიც თუმცა არა გადაჭრით, სიტყვიერათ მაინც იცავს ერთა თვითგამორკვევის უფლებას. აღნიშნულ პირებს, რასაკვირველია, არ შეეძლოთ პარტიის აზრი გადმოეცათ, მაგრამ აღმითქვეს საკითხის დასმა და გაზეთში საქართველოს საკითხის ენერგიული დაცვა. შემდეგ ვინახულე პრესის წარმომადგენელი და საქართველოს საკითხი დაწვრილებით გავაცანი.

ჩეხოსლოვაკია ძლიერია წარმოების განვითარებით ავსტრიის ქარხნების $^4/_5$ მას შერჩენია და ის ბაზარს დაეძებს. მე განვიძახე ვაჭარ-მრეწველებთან შეხვედრა და მათთან შესაფერი კავშირის გაბმა. წარმომადგენლებს შეხვედრისას ვუსაყვედურე, რომ მათი მთავრობა გულგრილათ გვიცქერის, რაიცა ჩვენს ეკონომიურ კავშირს ხელს შეუშლის და დავუხატე სურათი, რა მნიშვნელობა ექნება ჩეხოსლოვაკიისათვის საქართველოს და კავკასიას. ვაჭარ-მრეწველთა შორის იყო ისეთი პირიც, რომე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიც საქართველოს ეკონომიურ მდგომარეობას ჩემზე უკეთ იყო გაცნობილი და ბევრი მტკიცება საჭირო არ იყო. მათ გამაცნეს პროექტი სამეურნეო დახმარების შესახებ, რომელიც გულისხმობს ტრაქტორებით რამდენიმე ათას დესეტინა ადგილ-მამულის დამუშავებას და დამპირდენ დაწვრილებითი პროექტის გამოგზავნას. მაშინ მე განვუცხადე, რომ ჩვენ ეკონომიურ შეთანხმებას აუცილებლათ დავუკავშირებთ პოლიტიკურ მოთხოვნილებებს და ჩეხოსლოვაკიის მთავრობისაგან განსაზღვრულ პოლიტიკას მოვითხოვთ საქართველოს მიმართ. მათ აღმითქვეს ამ შემთხვევაში სრული დახმარების აღმოჩენა.

დასასრულ მე ვინახულე გარეშე საქმეთა მინისტრი ბენეში, მას მადლობა გადავუხადე დეირეთ ცნობისათვის, გავაცანი, რომ ვიწყებთ ვაჭარ-მრეწველებთან მოლაპარაკებას და იმედი გამოვთქვი, რომ ის ენერგიულათ შეგვიწყობს ხელს ამ საქმეში და პოლიტიკურათაც დახმარებას აღმოგვიჩენს. ამ მოლაპარაკებით ის მეტათ დაინტერესდა და ჩემთვის აშკარა შეიქმნა, რომ სწორეთ ამ საშუალებით შეგვეძლება ჩეხოსლოვაკიის მომხრობა, რომელსაც სხვათა შორის ინფორმაციის მიწოდებით, როგორც იქ გავიგე, სერიოზული გავლენა აქვს ინგლისის პოლიტიკაზე.

მშვიდობიანობა აღმოსავლეთში.

ამ სათაურით, პარიზის გაზეთ «ეკლერ»-ში (28 სექტ.) მოთავსებულია საკურადღებო წერილი ამ გაზეთის მუდმივ თანამშრომლის ბ. ისმაილის. მოგვყავს აქ მისი შინაარსი:

საფრანგეთის მთავრობას, როგორც ვიცით, გაგზავნილი ყავს ანგორაში განსაზღვრული დავალებით დეპუტატი ფრანკლინ-ბუიონი. ამის გამო ინგლისელი «დეილი ტელეგრაფი» სწერდა, თითქოს საფრანგეთს განზრახული ჰქონდეს შეაკავშიროს კავკასიის სახელმწიფოები კონფედერაციის სახით და თვით გახდეს «მფარველი» ამ ქვეყნების.

ამაზე «ეკლერის» თანამშრომელი შენიშნავს, რომ ინფორმაცია ამ სახით არ შეეფერება სინამდვილეს. მართალია ის, რომ საფრანგეთის მთავრობას, რომელსაც ბოლშევიკების სახელის გაგონებაც კი არ სურს, მეტათ სასიამოვნოთ ექნებოდა თუ ანტიბოლშევიკური ელემენტები საქართველოსი, სომხეთის, ადერბეიჯანის და მთიულთა ტერიტორიისა შეერთდებოდენ, რათა უფრო მარჯვეთ დაეცვათ თავიანთი დამოუკიდებელი არსებობა მოსკოვისაგან. ამით ერთი მხრით ეს მდიდარი ქვეყნები მოიშორებდენ თავიდან მოსკოვის ავაზაკებს, რომელთა წყალობით ისინი დღეს შიმშილს განიცდიან, ხოლო მეორე მხრით გზას გადაუღობავდენ მოსკოვს მცირე აზიისა და ხმელთა შუა ზღვისაკენ.

მაგრამ ამბობს ავტორი, ამ პროექტის განხორციელება—რომელიც უფრო კავკასიურია, ვინემ ფრანგული—ჩვენ გვგონია, შეიძლება მხოლოდ ოსმალების თანხმობით და დახმარებით. ანგორის ანტიბოლშევიკური პარტია სრულიად იზიარებს ამ შეხედულებას. და, რადგან ფრანგ-ოსმალთა შეთანხმება უნდა მოხდეს ამ პარტიასთან, ამისთვის ბ. ფრანკლინ-ბუიონს—რომელიც ანგორაში არის წასული—შეეძლება ორივე საკითხის ერთათ მოგვარება. და მართლაც ანგორამ უნდა საბოლოოთ გამოარკვიოს ბოლშევიკებთან ჯარის ის, თუ მათ წინააღმდეგ. აქ ნეიტრალობას და ორჭოფობას ადგილი არ უნდა ექნეს.

ოსმალებს ძვირფასი უზის ავანტიურისტული პოლიტიკა. მართალია ბერძნებს, რომელნიც ანგორას მიუახლოვდენ ქემალმა უკან დაახევინა, მაგრამ ეს გამარჯვება პიროსის გამარჯვებაა. —ბ. გუნარისი ამბობდა ერთ ინტერვიუში, რომ საბერძნეთის ჯარმა უკვე შეასრულა თავისი მისია, მან «დაანგრია მტრის ადგილები»; ასე რომ ეს ომი, თვით ბერძნების სიტყვით დანგრევის ომი ყოფილა და მართლაც მთელი რიგი მდიდარი მხარეებისა ბრუსიდან და სმირნიდან დაწყებული ანგორამდის ამ «დანგრევის» კანონს ექვემდებარება. და თუ ორივე მხარემ ჯიბრზე გადგომას თავი არ დაანება, ეს წინწაწევა და უკან დახევა ხელახლა დაიწყება გაჩაღებულზე და რაც დარჩა დაუნგრეველი, იმასაც ხელს მოუთავებს.

ამ რიგათ ერთის მხრით ოსმალეთის მრავალი კუთხეები დანგრეული და დაქცეულია და ხალხიც ათი ათასობით იხოცება, მეორეს მხრივ ბერძნები—რომელნიც უცხოეთის დახმარებას საჭიროებენ—თან და თან ვალში ვარდებიან და აპეკუნების საპატრონო ხდებიან, რაც ალბათ ბერძნებსაც არ ეპაშნიკებათ. ასე რომ ნამდვილათ ოსმალების მტრათ საბერძნეთი უფრო ნაკლებ ჩაითვლება, ვიდრე ის სახელმწიფო, რომელიც ამ ბრძოლას ასულდგმულებს. ოსმალეთისათვის უფრო საშიშია ინგლისის ხელში ჩავარდნილი საბერძნეთი—თუ გინდ დამარცხებულიც იყოს იგი,—ვიდრე გონიერი ურთიერთი დათმობის საშუალებით მასთან შეთანხმებული საბერძნეთი...

და თუ ბ. ფრანკლინ-ბუიონი მოახერხებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ეს აზრი მიაღებიოს ანგორას, საფრანგეთს შეეძლება მართლაც იამაყოს იმ სამსახურით, რომელსაც ის გაუწევს ამით მსოფლიო მშვიდობიანობის საქმეს.

«კავკასიის ანტიბოლშევიკური კონფედერაციის შექმნა—ათავებს ბ. ისმაილი—იქნება ამ ნაირად არა საფრანგეთის «ამბიციის» ნაყოფი, როგორც ეს ჰგონია «დეილი ტელეგრაფ»-ს, არამედ ეს იქნება ბუნებრივი დაგვირგვინება მშვიდობიანობის პოლიტიკის, რომელიც დროა გატარდეს აღმოსავლეთში».

ევროპის მუშათა შორის.

საფრანგეთის სინდიკალისტთა შორის.

პარიზში დასრულდა შრომის საზოგადო კონფედერაციის ხელმძღვანელ ორგანო—კონფედერალურ კომიტეტის—სესია. ამ ყრილობაში მონაწილეობას ღებულობდა საფრანგეთისა და ახალშენების სინდიკატთა 130 დელეგატი.

სესიის მთავარი საკითხი იყო სინდიკატების დამოკიდებულება ბოლშევიკების მოქმედებასთან, რომელნიც შედიან სინდიკალურ წრეში იმ მიზნით, რომ მუშათა მოძრაობაში შეიტანონ დარღვევა, განხეთქილება და არევ-დარევა, რათა ამნაირად დაუმორჩილონ იგი მოსკოვის დიქტატურას.

ეს საკითხი პრინციპიალურად გადაწყდა ლილის სინდიკალურ კონგრესზე, სადაც დამარცხდენ ბოლშევიკების მომხრენი და გაიმარჯვა იმ მიმდინარეობამ, რომელსაც მეთაურობდა ბოლშევიზმის აშკარა მოწინააღმდეგენი: ჟუო და მერჰეიმი. კონფედერალურ კომიტეტს უნდა დაედასტურებია ეს გადაწყვეტილება და აერჩია მუდმივი «ადმინისტრატიული კომისია» (ცეკა), რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს კონფედერაციას და დაიცავს მას ფარულ და აშკარა მტრებისაგან.

კონფედერალურ კომიტეტში ბოლშევიკური ელემენტები იმავე ტაქტიკას აწარმოებდენ, რომელსაც ისინი ლილის კონგრესზე ადგენ: ისინი მოუწოდებდენ სოლიდარობისაკენ და ამბობდენ, რომ სინდიკალურ უმრავლესობას ყველა უნდა დაემორჩილოსო. თან ცდილობდენ დაემტკიცებიათ, რომ მათი მოქმედება სრულიად არ ეწინააღმდეგება დისციპლინას და სხვ.

კომიტეტმა არ გაიზიარა ასეთი შეხედულება და დაადასტურა, რომ ის სინდიკატები, რომელნიც აცხადებენ, რომ ისინი უერთდებიან მოსკოვის ცენტრს, თავის-თავად კარგავენ კონფედერაციაში მონაწილეობის უფლებას, რადგან ეს უკანასკნელი აერთებს საფრანგეთის იმ შეკავშირებულ მუშებს, რომელნიც უარყოფენ მოსკოვის დიქტატურას.

ამნაირად ბოლშევიკები აქაც ხელახლა დამარცხდენ. ეს დამარცხება მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ბოლშევიკური პრესა უკანასკნელ მომენტამდის ირწმუნებოდა, რომ ბოლშევიკური ელემენტები კომიტეტში ხმების ნახევარს მაინც შეაგროვებენო.

ადმინისტრატიულ კომისიაში არჩეულ იქნენ მხოლოდ ბოლშევიკების მოწინააღმდეგენი.

სოციალ. პარტიები ევროპაში

იტალიის სოც. კონგრესი მილანში.

15 ოქტომბერს დასრულდა იტალიის სოც. კონგრესი მილანში. მთავარი ღერძი ყრილობის იყო დამოკიდებულება მესამე ინტერნაციონალთან.

ყრილობას დაესწრენ მესამე ინტერნაციონალის აგენტები, საფრანგეთის და რუსეთის წარმომადგენლები, რომელთაც კრება გულგრილათ შეხვდა და მწვავე რეპლიკებით აწყვეტინებდა სიტყვას. ბოლოს, როცა დიდმა უმრავლესობამ ყრილობაზე დაადასტურა მესამე ინტერნაციონალიდან გამოსვლა, მოსკოვის წარმომადგენელმა იტალიის სოც. პარტია გარიცხულათ გამოაცხადა, რასაც მოჰყვა ხანგრძლივი სტვენა დელეგატების.

სოციალისტების გამარჯვება ტიურინგენში.

ტიურინგენის ლანდტაგის არჩევნები დასრულდა 11 სექტემბერს სოციალისტების სრული გამარჯვებით. არჩეულია 28 სოციალისტური პარტიების წარმომადგენელნი და 26—ბურჟუაზიულის. ეს გარემოება აიძულებს სოციალისტებს შეადგინონ მთავრობა. ეს მით უფრო საჭიროა, რომ რეაქცია მაგრდება გერმანიაში და რესპუბლიკას განსაცდელში აგდებს.

დამოუკიდებელთა პარტიამ უკვე გამოიტანა დადგენილება შევიდეს მთავრობაში, რომ ამ ნაირად კონტრ-რევოლიუცია დაამარცხოს.

კომუნისტები ჩეხოსლოვაკიაში.

ჩეხოსლოვაკიაში კომუნისტებს თვალები ეხილებათ. აი, რა მოხდა ქ. გალიცში გაზეთ «ვეცერნიკ პრავალიუ»-ს გადმოცემით: სოც.-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემოკრატებმა მოიწვიეს აქ მიტინგი, რომლის საგანი იყო «რუსული კომუნიზმი და ჩეხოსლოვაკიის პროლეტარიატი». ორატორებათ ამ მიტინგზე გამოვიდენ იანიჩეკი და კუჩერა. ეს უკანასკნელი ყოფილი კომუნისტია, რომელმაც რუსეთი ინახულა და დაბრუნებიასა კომუნისტობაზე უარი სთქვა. ამ მიტინგზე რასაკვირველია მოვიდენ კომუნისტებიც, რომელთაც სოც.-დემ. ორატორების მოპასუხეთ გამოიწერეს ქ. პარდუბიციდან ადგილობრივ კომუნისტურ პარტიის დამაარსებელი ნეცკარი. დამსწრენი დიდ შეტაკებას მოელოდენ. იანიჩეკმა და კუჩერამ ილაპარაკეს და ფაქტების და დოკუმენტების საშუალებით დაამტკიცეს, თუ რა არის ბოლშევიზმის ნამდვილი ბუნება. ამის შემდეგ სიტყვა აიღო კომუნისტმა ნეცკერმა. კომუნისტები, რომელნიც ცდილობდენ ს.-დ. ორატორებისთვის ხელი შეეშალათ და ხშირათ იძლეოდენ რეპლიკებს, დაწყნარდენ და სიხარულით მოელოდენ მათი ლიდერის სიტყვას. მაგრამ მოულოდნელი რამ მოხდა. ნეცკერი გავიდა ტრიბუნაზე და შემდეგი წარმოსთქვა: «ადგილობრივმა კომუნისტებმა მომიწვიეს მე, რათა ს.-დ. ორატორების წინააღმდეგ გამოვსულიყავ. უნდა ვაღიარო, რომ ძალიან მაინტერესებდა, თუ რას იტყოდენ ს.-დ. ორატორები რუსულ კომუნიზმზე. მაგრამ, როცა მე მოვისმინე მათი დასაბუთებული სიტყვები და კომუნისტების უაზრო რეპლიკები, მე გადავწყვიტე დღეიდან აღარ დავიცვა კომუნისტური საქმე. მე დიდხანს არ ვილაპარაკებ. მხოლოდ იმ ორგანიზაციას, რომელიც მე თითონ დავაარსე, უნდა მოვახსენო, რომ მე მისთვის და მის მაგიერ სირცხვილით ვიწვები. იმის შემდეგ, რაც მე აქ დღეს მოვისმინე, კომუნისტათ დარჩენა არც შემიძლია და არც დავრჩები». ამ სიტყვების შემდეგ მიტინგზე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

კომუნისტები კუჩერასა და იანიჩეკის სხვა მიტინგებს ამის შემდეგ აღარ მიკარებიან.

შინაური გრძოლა გერმანიაში.

(დასასრული. იხ. „თავ. საქ." № 9-10)

პროლეტარიატის გამოსვლას განსაკუთრებული სიძლიერე მიანიჭა ორივე სოციალისტური პარტიის შეთანხმებამ და ერთად მოქმედებამ. აუწერელ სურათს წარმოადგენდა ბერლინის ქუჩები, სადაც ნახევარი მილიონი მუშა გამოვიდა. ისეთია გერმანიის პროლეტარიატის დისციპლინის ძალა, რომ ამოდენა ხალხის ქუჩებში მოძრაობას ერთი ინცინდენტიც კი არ მოჰყოლია. წესრიგს თვით მუშები იცავდენ. ეს იყო მუშათა კლასის ისეთი ძლიერი დარაზმვა, რომ ბერლინის რეაქციონერები იძულებული გახდენ ხელი აეღოთ კონტრ-მანიფესტაციაზე და ხმა გაეკმიდათ. სამაგიეროთ მრავალ სხვა ქალაქებში ადგილი ჰქონდა შეტაკებებს რეაქციონერებსა და მუშა მანიფესტანტებს შორის, თუმცა დემონსტრანტების რიცხვი აქაც დიდი იყო. ამ შეტაკებებმა რამოდენიმე მუშის სიცოცხლე იმსხვერპლა, რაც აიხსნება იმით, რომ რეაქციონერები შეიარაღებული იყვენ. საერთოდ კი ამ შეტაკებებმა წელში გასტეხეს რეაქცია. მონარქისტები დარწმუნდენ, რომ გაერთიანებული მუშათა კლასი მზათაა სიცოცხლის და სისხლის დაუზოგავათ გაუმკლავდეს მათ და, სამოქალაქო ომამდეც რომ მივიდეს საქმე, უკან არ დაიხევს.

მართალია ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა, მარა ერთი აშკარაა: პროლეტარიატის გაერთიანებამ, მისმა ერთსულოვანმა გამოსვლამ შეარყია საბრძოლველათ დარაზმული რეაქცია და იძულებული გახადა ის შეტევაზე ხელი აეღო და თავდაცვაზე გადასულიყო; მონარქისტული რეაქცია ამ დროით მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ ზოგიერთი პოზიციები მაინც შეინარჩუნოს.

მწვავე ხასიათის ბრძოლა გრძელდება ბავარიის გარშემო. ბავარია—გერმანიის იმპერიის ერთი შემადგენელ ნაწილთაგანი—განსხვავდება დანარჩენი ნაწილებისაგან თავისი სოციალური ურთიერთობით და ზოგიერთი პოლიტიკური მიდრეკილებებით. სამხრეთი ნაწილი ბავარიისა ტიპიური აგრარიული ქვეყანაა, აქ ნაკლებათაა განვითარებული ქალაქის ინდუსტრია, სუსტია გავლენა პროლეტარიატის; აქ სოფლის მცხოვრებლები, საშუალო გლეხობა და მსხვილი მემამულეები შეადგენენ რეაქციის ბურჯს. სამაგიეროთ ჩრდილო ბავარია ისეთსავე სოციალურ სურათს წარმოადგენს, როგორც გერმანიის დანარჩენი ნაწილები, აქ ძლიერია მუშათა კლასის და დემოკრატიის გავლენა. რევოლიუციის დასაწყისში ბავარიაში რამდენიმე კვირით გაიმარჯვა კომუნისტებმა, რომლებიც ფიქრობდენ «გაკომუნისტებული» ბავარია «კონტრ-რევოლიუციონურ» იმპერიისათვის ჩამოეშორებიათ. კომუნისტების თარეშმა გზა გაუკაფა სამხრეთ ბავარიის რეაქციონერ დიქტატორებს. კომუნისტების დამარცხების შემდეგ ბავარიის რესპუბლიკაში გაბატონდა მონარქისტული რეაქცია. ბავარია შეიქნა საიმპერიო რეაქციის ბურჯათ. აქ განსაკუთრებით მძვინვარებდა და მძვინვარებს მემარჯვენეების ტეროორი სოციალისტების წინააღმდეგ, აქ იჯრის თავს, აწყობს პლანებს და ირაზმება მთელი გერმანიის რეაქ-

n 125/6

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცია. აქ შეაფარეს თავი კაპის გადატრიალების გმირებმა, რომლებიც არამც თუ დაუსჯელი რჩებიან, არამედ აქტიურათაც ებრძვიან იმპერიის დემოკრატიას და მის დემოკრატიულ მთავრობას. ბავარიას სათავეში ედგა კოალიციური მთავრობა, შუათანა და მემარჯვენე პარტიებიდან შემდგარი, კოალიციაში გადამჭრელ როლს თამაშობენ მემარჯვენეები. ამ მთავრობამ ისარგებლა კაპის გადატრიალების ცდის დროს გამოცხადებულ სამხედრო წესებით, ეს წესები, ასე ვთქვათ, გაამუდმივა და მათზე დაამყარა მონარქისტულ რეაქციის დიქტატურა: შებოჭა პროლეტარიატის თვითმოქმედება და შეძლება მისცა მთელი გერმანიის რეაქციონერებს ლუდენდორფ-ჰინდენბურგის მეთაურობით ბავარია რესტავრაციულ და რევანშის პლანების ბუდეთ გაეხადათ. უკანასკნელ თვეებში ბავარია აშკარად ემუქრებოდა დემოკრატიულ გერმანიას: ის სახელს უტეხდა გერმანიის მთავრობის დემოკრატიულ საგარეო პოლიტიკას, ეკვიროდა რევანშზე, ემუქრებოდა ანტანტას, გზავნიდა აგენტებს, იარაღს და დირექტივებს ზემო სილეზიაში და სხვ. ბოლო დროს გერმანიის რეაქციონერები ბავარიაში პრაქტიკულად ამზადებდენ რესტავრაციას, ძველის აღდგენას და არც მალავდენ თავის შავბნელ განზრახვებს.

რა გასაკვირია, რომ ერცბერგერის ბედით გამოფხიზლებულმა გერმანიის დემოკრატიამ ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ ლოზუნგათ წამოაყენა რეაქციონურ ბავარიის ალაგმვა. მის წინააღმდეგ გამოვიდა მთელი გერმანიის პროლეტარიატი და აიძულა საიმპერიო მთავრობა ენერგიულათ დაეწყო ლაპარაკი ბავარიის რეაქციონურ მთავრობასთან. პრეზიდენტმა ებერტმა მოითხოვა თავისი ბრძანებების ბავარიაზე გავრცელება და იქაურ მემარჯვენე პრესის ალაგმვა; საიმპერიო კანცლერმა ვირტმა მოსთხოვა ბავარიას სამხედრო წესების მოხსნა და ამგვარად რეაქციონურ დიქტატურისათვის ბოლოს მოღება. ბავარიის მთავრობამ, რომელსაც სათავეში ცნობილი მონარქისტი-რეაქციონერი ფონ კარი ედგა, ეს მისი უფლების შელახვათ გამოაცხადა, მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე უარი სთქვა. გაჩაღდა კონფლიქტი, რომელსაც მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ბავარიისა, არამედ მთელი იმპერიისათვის. გერმანიის გაერთიანებულმა დემოკრატიამ იერიში შეიტანა ბავარიის რეაქციონურ ბუდეზე. დემოკრატიის გამარჯვებამ იმპერიის დანარჩენ ნაწილებში შეასუსტა ბავარიის რეაქციონერების პოზიცია და რეევა შეიტანა მათ ბანაკში. ფონ-კარმა, რომელიც შეურიგებელ პოზიციას ადგა ცენტრის მოთხოვნილებების მიმართ, ვერ მოიპოვა სრული თანაგრძნობა ბავარიის ლანდტაგის ხელმძღვანელ წრეებშიაც კი, რომელთა უმრავლესობას მემარჯვენეები და ბურჟუაზიული შუათანა პარტია შეადგენენ. ის იძულებული გახდა გადამდგარიყო და მისი მოადგილე მთავრობა დღეს საიმპერიო ცენტრთან შეთანხმებით და მორიგებით ათავებს საქმეს. ამ შეთანხმებით მოკლე ხანში სამხედრო წესები იხსნება ბავარიაში და ბავარიის პროლეტარიატს და დემოკრატიას საშვალება ეძლევა თავისუფალი მოქმედების.

რა თქმა უნდა, გერმანიის რეაქციონერები, რომლებსაც იმედით შეჰყურებდენ მთელი ქვეყნის მონარქისტ-რეაქციონერები, საბოლოოდ დამარცხებული არ არიან, მაგრამ ერთი აშკარაა: ერცბერგერის მოკვლის გამო დაწყებულმა ბრძოლამ, პროლეტარიატის და დემოკრატიის გაერთიანებულმა შეტევამ რეაქციას მრავალ პოზიციაზე ააღებია ხელი, იძულებული გახადა მოგერიებითი ტაქტიკაზე გადასულიყო და შესამჩნევად განამტკიცა რესპუბლიკანური იდეა გერმანიაში. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც თვით გერმანიის, აგრეთვე საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცებისათვის. მონარქისტულ რეაქციის ალაგმვა ამაგრებს გერმანიის რესპუბლიკის საგარეო მდგომარეობას და შეაძლებინებს მას დაიჭაროს საერთაშორისო კონცერტში თავისი მნიშვნელობის გაძლიერება. გერმანიის მონარქისტების დამარცხება მოასწავებს ბევრ სხვა ქვეყნის რეაქციონერთა იმედის გაცრუებას.

განსაკუთრებით საინტერესოა გერმანიის შინაგან ბრძოლის ერთი შედეგი: ამ ბრძოლამ აიძულა ერთი-მეორეს დაშორებული ორი დიდი სოციალისტური პარტია ერთად გამოსულიყვენ, პრაქტიკულათ ერთად ემოქმედნათ და ეს გარემოება ხელს შეუწყობს ამ პარტიების დაახლოვებას, დაჩქარებს მათ გაერთიანების პროცესს. ამას კი უდიდესი მნიშვნელობა ექნება მუშათა ინტერნაციონალის გაძლიერებისათვის და მთელი საერთაშორისო ურიერთობისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საგულისხმიერო მაგალითი.

(გარლიცის პარტეიტაგის გამო)

სექტემბრის შუა რიცხვებში მოხდა გერმანიის სოც.-დემ. მუშათა პარტიის (მეუმრავლესეთა) ყრილობა, რომელმაც მთელი ქვეყნის ყურადღება მიიპყრო. ეს აიხსნება იმით, რომ გერმანიის სოც.-დემოკრატიული პარტია უდიდესი პარტიაა გერმანიაში (და არა მარტო გერმანიაში), მას ჰყავს მილიონ ნახევარი პარტიულ დისციპლინით გამსჭვალული წევრი. გ—ის ს.-დ—ი პარტია სდგას დღეს გერმანიის პოლიტიკურ ცხოვრების შუაგულში, მისი დამოკიდებულება სხვა და სხვა პარტიებთან ხრის გერმანიის პოლიტიკას მარჯვნივ ან მარცხნივ. სწორედ გერლიცში უნდა გამოერკვია გ. ს.-დ. პარტიას თავისი დამოკიდებულება მთავრობასთან და პარტიებთან.

რეიხსტაგის უკანასკნელმა არჩევნებმა ცხადჰყო, რომ გერმანიაში არსებობს ერთგვარი სოციალური წონასწორობა: არც ერთ სოციალურ ჯგუფს (არც ბურჟუაზიულს, არც პროლეტარულ-სოციალისტურს) არ აქვს გადამჭრელი უმრავლესობა ქვეყანაში და მასადამე არც პარლამენტში. ამასთან სახეში მისაღებია, რომ უკანასკნელ დრომდე სოციალისტურ პროლეტარიატის მნიშვნელოვანი ნაწილი დამოუკიდებელ სოციალისტურ პარტიის სახით გადაჭრით წინააღმდეგი იყო რომელიმე ბურჟუაზიულ პარტიასთან თანამშრომლობისა მთავრობაში. გერ. ს.-დემ. პარტიას არ უნდოდა კოალიციაში შესვლა მემარჯვენე მსხვილ კაპიტალისტურ პარტიასთან, რომელსაც მონარქისტული ბეჭედი აკრავს და რომელიც საზოგადოთ ანტიდემოკრატიული პოლიტიკის მატარებელია. მთავრობა შედგა წმინდა ბურჟუაზიული: მსხვილ კაპიტალისტურ «გერმანიის სახალხო პარტიის», კათოლიკურ «ცენტრის» და დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენელთაგან. სოც.-დემოკ. პარტიის გასული წლის ყრილობამ აშკარად უარყო კოალიცია მემარჯვენე კაპიტალისტურ პარტიასთან («გერმანიის სახალხო პარტიასთან»). ეს წმინდა ბურჟუაზიული მთავრობა გადადგა გასულ გაზაფხულზე, როცა ანტანტამ გერმანიას ცნობილი ულტიმატუმი წაუყენა, მდგომარეობა ძლიერ სერიოზული შეიქნა. მეუმრავლესე სოციალისტებს ან უნდა ღვთის ანაბარათ მიეტოვებიათ ქვეყანა გარეშე საფრთხის წინაშე, ან მთავრობაში უნდა შესულიყვენ. გერ. ს.-დ.-მ მეორე გზა არჩია და შეიქნა ახალი მთავრობა ეხლანდელ კანცლერ ვირტის ხელმძღვანელობით, რომელშიაც შევიდენ მეუმრავლესე სოციალისტები (ს.-დ. პარტია), დემოკრატიული პარტია და ე. წ. ცენტრის პარტია. ეს იყო კოალიცია შედარებით პროგრესიულ ბურჟუაზიასთან, უფრო წვრილ და საშუალო ბურჟუაზიასთან. ვირტის მთავრობამ მიიღო ანტანტის ულტიმატუმი და დაადგა მის სინდისიერათ განხორციელების გზას —საგარეო პოლიტიკაში—და დემოკრატიის განმტკიცებისას—საშინაო პოლიტიკაში. ამ სამი პარტიის კოალიცია გამოწვეული იყო მწვავე საგარეო მდგომარეობით, ნამდვილად კი მას ძლიერ სუსტი პარლამენტარული ნიადაგი აქვს: რეიხსტაგში სამივე პარტიის წარმომადგენლები ძლივს შეადგენენ უმრავლესობას და თუ სამინისტრომ აქამდე გასძლო, ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ დამოუკიდებელ სოციალისტების პარტიამ ხელი აიღო თავის შეურიგებელ პოზიციაზე და ვირტის სამინისტროს მხარი დაუჭირა. ქვეყნის ეხლანდელი საგარეო და საშინაო კრიზისი კი მოითხოვს შესდგეს ურყევი, რეიხსტაგში ძლიერი საფუძველის მქონე მთავრობა. ამიტომ იყო, რომ გერმანიის სოც.-დემ. პარტიამ კოალიციის საკითხი წამოაყენა გერლიცში; ეს საჭირბოროტო საკითხი გადაიქცა უმთავრეს მომენტათ პარტეიტაგზე (პარტიულ ყრილობაზე).

დელეგატების დიდი უმრავლესობა ძველი მეთაურების (შეიდემანი, ჰერმან მიულერი და სხვ.) ხელმძღვანელობით იცავდა კოალიციის საფუძველის გაფართოებას ისე, რომ შესაძლებელი გამხდარიყო კოალიციის შეკვრა პირობების მიხედვით, როგორც მარჯვნით, აგრეთვე მარცხნით.

«ჩვენ ვართ უდიდესი პარტია სახელმწიფოში, ჩვენ ვართ ერთად-ერთი პარტია, რომელიც გადაჭრით სდგას რესპუბლიკის და დემოკრატიის დაცვის ნიადაგზე. დამოუკიდებელ სოცია-

ლისტების პარტია უარს ამბობს მთავრობაში მონაწილეობაზე. დღევანდელ კოალიციას კი იმდენათ ვიწრო საფუძველი აქვს, რომ დღეს თუ ხვალ აუცილებლად დაინგრევა. ასეთ პირობებში ჩვენ ორი გზა დაგვრჩენია: შეეცადოთ შეეუთანხმდეთ «გერმანიის სახალხო პარტიას», მივაღებინოთ მას ჩვენი პროგრამა მთავრობაში მოღვაწეობის და ვაიძულოთ ამ პროგრამის ერთგულად ასრულების გარანტიები მოგვცეს; აი ამ გზით ვეცადოთ სახელმწიფოებრივი აპარატი რესპუბლიკის საგარეო და საშინაო მდგომარეობის გასამტკიცებლად გამოვიყენოთ, შიგნით რადიკალური რეფორმები: ნივთიერ ღირებულებათა ძლიერი დაბეგვრა, იუსტიციის და სამხედრო ძალის დემოკრატიზაცია, და სოციალური კანონმდებლობა გავატაროთ. თუ ამ გზას არ დავადექით, მაშინ უნდა შევურიგდეთ იმას, რომ შესდგება წმინდა ბურჟუაზიული ბლოკის მთავრობა, რომელიც არამც თუ რეფორმებს გაატარებს, არამედ სახელმწიფო აპარატს პროლეტარიატის და დემოკრატიის წინააღმდეგ მოიხმარს, თვით რესპუბლიკას შეებრძოლება და რეაქციონერების გავლენით რესტავრაციის გზას დაადგება. მაშინ ჩვენ იძულებული გავხდებით სამოქალაქო ომის გზას დავადგეთ, რაიცა ომის და რევოლიუციისაგან შერყეულ ქვეყანას სრულიად გაანადგურებს, გააღატაკებს და უცხო ძალის საჯიჯგნად გახდის». ამ არგუმენტაციის თანახმად პარტიის ცეკამ და საკანტროლო კომისიამ წარადგინა პარტეიტაგზე რეზოლიუცია, რომლის ძალითაც ყრილობამ ნება უნდა მისცეს ცეკას პირობებისდა მიხედვით კოალიციაში შევიდეს ამა თუ იმ პარტიასთან, თუ ეს უკანასკნელი (იქნება ის ეხლანდელ კოალიციის მარცხნივ თუ მარჯვნივ მდგომი) მიიღებს სახელმძღვანელოთ პარტეიტაგის მიერ მოწონებულ მინიმალურ პირობებს მთავრობის პროგრამისა. ეს მინიმალური პირობები ჩამოთვლილია რეზოლიუციაში: რესპუბლიკის დაცვა შინაურ მტრებისაგან; ხალხის ნების გაბატონება როგორც საერთოთ იმპერიაში, აგრეთვე ცალკე შემადგენელ სახელმწიფოებში და თვითმმართველობების ორგანოებში; ადმინისტრაციის დემოკრატიზაცია (იგულისხმება უპირველესათ სასამართლოები), რესპუბლიკანური სამხედრო ძალა და პოლიცია; სოციალური კანონმდებლობის გაფართოება; ხალხთა სოლიდარობის და მშვიდობიანობის საგარეო პოლიტიკა, კეთილსინდისიერი შესრულება საზავო ხელშეკრულების, რამდენათაც ეს შესაძლებელია დღევანდელ გერმანიისათვის, და ამისათვის უპირველესათ შეძლებულ კლასებისათვის პირდაპირი ქონებრივი გადასახადის დადება.

აქ სადაო იყო არა ეს პირობები, არამედ პარტიის ხელმძღვანელების და პარტეიტაგის უმრავლესობის განზრახვა მემარჯვენე «სახალხო პარტიასთან» კოალიციისა. ოპოზიცია, რომელიც პარტეიტაგზე რიცხვით ძლიერ სუსტი იყო და რომელსაც არც ერთი ხელმძღვანელ მოღვაწეთაგანი არ უჭერდა მხარს, ამბობდა:

«ჩვენ არ ვართ წინააღმდეგი კოალიციის, მაგრამ მიუღებლათ მიგვაჩნია კოალიცია მემარჯვენე კაპიტალისტურ პარტიასთან. «სახალხო პარტია», რომც მიიღოს მან ჩვენი პირობების მინიმუმი, არ შეასრულებს და ვერც შეასრულებს მათ ორ უმთავრეს საშინაო საკითხში: რესპუბლიკის დაცვაში და ომის მიერ ნაანდერძევ კონტრიბუციის შეძლებულ კლასებისათვის შეწერის საქმეში. კაპიტალისტების პარტია პროლეტარიატს არ გაჰყვება: ეს პარტია მონარქისტულია, კაპიტალისტები არასოდეს არ შეურიგდებიან დიდი ქონების—«ნივთიერ ღირებულებათა»—დაბეგვრას. მართალია, ეხლანდელი კოალიცია უნდა გაფართოვდეს. მაგრამ არა მარჯვნით—რესპუბლიკის და პროლეტარიატის მტრების მხრისაკენ, არამედ მარცხნით—ძმური სოციალისტური (დამოუკიდებელთა) პარტიისაკენ. ისიც მართალია, რომ ამ პარტიის დოქტრინიორობას დიდი წილი უდევს დღევანდელ არანორმალურ პოლიტიკურ მდგომარეობის შექმნაში, მარა მან ამ ბოლო დროს ძირიანათ შესცვალა თავისი პოლიტიკური ხაზი, გადაჭრით მხარს უჭერს ვირტის სამინისტროს და შესაძლებელია პროგრესიულ ბლოკშიაც შემოვიდეს. «სახალხო პარტიასთან» კოალიცია სამოქალაქო ომს ვერ აგვაცდენს, დამოუკიდებელთა პარტიას კი დაგვაშორებს და ამით გაანელებს რესპუბლიკის დაცვის საქმეს, რადგან ხსნა მხოლოდ პროლეტარიატის გაერთიანებაშია; აქეთ უნდა იყოს მიმართული ჩვენი ცდაც».

ოპოზიცია დამარცხდა. ფორშტანდის (ცეკას)

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეზოლიუცია გავიდა დიდის უმრავლესობით (290 ხმით 67 წინააღმდეგ).

მეორე დიდი საკითხი პარტეიტაგზე იყო პარტიის ახალი პროგრამის პროექტი. სამწუხაროთ ადგილის სიმცირე ნებას არ გვაძლევს აქ დაწვრილებით მოვიყვანოთ და დავაფასოთ პარტეიტაგის მიერ მიღებული ახალი პროგრამის შინაარსი. ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ პროგრამის თეორიული დებულებები დაახლოვებით იგივეა, როგორიც ერფურტის პროგრამის. აქ მხოლოდ ჩამოთვლილია დეტალურათ ის გასატარებელი ზომები, რომლებმაც რესპუბლიკას უაღრესად დემოკრატიული ხასიათი და შინაარსი უნდა მიანიჭონ, გააფართოვონ და გააღრმავონ სოციალური კანონმდებლობა, ააღორძინონ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წარმოება, ე. სიტყვით ნიადაგი მოუმზადონ საზოგადოების წმინდა სოციალისტურ საფუძველზე გარდაქმნას. ქართველი მკითხველისათვის აქ ახალი ცოტაა: გერლიცის პროგრამის პრაქტიკული ნაწილი ძლიერ წააგავს იმ ზომებს, რომლებიც ნ. ჟორდანიამ წამოაყენა თავის მოხსენებაში მთავრობის მოღვაწეობის შესახებ 1920 წ. პარტიულ ორგანიზაციათა კრებაზე თფილისში (ქალაქის თვითმათვ.). გერლიცის პროგრამა მიღებულ იქნა თითქმის ერთხმად (5 დელეგატის ხმის წინააღმდეგ). მისი მთავარი მოწინააღმდეგე შტრებელის აზრით, ახალ პროგრამაში სრულიად არ არის დამუშავებული სოციალიზაციის საკითხი; შტრებელი ფიქრობს აგრეთვე, რომ ამ პროგრამის მიღება გაართულებს ორი სოციალისტური პარტიების გაერთიანების საქმეს.

პარტეიტაგმა მიიღო მთელი რიგი დადგენილებათა იუსტიციის უწყების, სამხედრო ძალის, პოლიციის დემოკრატიზაციის და სასკოლო რეფორმის შესახებ; განიხილა რესპუბლიკის საგარეო მდგომარეობა და მიიღო ენერგიული დადგენილება საფინანსო რეფორმის, ე. ი. ანტანტისათვის გადასახდელ ვალების სიმძიმის შეძლებულ კლასებზე დაკისრების შესახებ და სხვა.

პარტეიტაგს დაესწრო და მიესალმა სხვა და სხვა ქვეყნების სოც. პარტიების წარმომადგენელნი. მათ შორის განსაკუთრებული ყურადღება მიიქცეს ბელგიის სოც. პარტიის წარმომადგენელმა ჩვენმა კარგმა ნაცნობმა და მეგობარმა დებრიუკერმა და საქართველოს სოც.-დემ. პარტიის წარმომადგენელმა კ. ხეიმემ. ბელგიელი ომის დაწყების შემდეგ პირველათ დაესწრო და მიესალმა გერმ. სოც.-დემ. პარტიის ყრილობას; ეს შეხვედრა ნამდვილ საერთაშორისო სოლიდარობის მანიფესტაციათ გადაიქცა. საქართველოს ყრილობა განსაკუთრებული სიმპატიით მოეპყრო და მის შესახებ საგანგებო დადგენილებაც მიიღო (იხ. ამავე №-ში).

———

პარტეიტაგი დასრულდა, მარა მისი ზოგიერთი დადგენილების გამოხმაურება თვით პარტიაში ერთი თვის განმავლობაში არ დამცხრალა. როგორც შეჰფერის ნამდვილ პროლეტარულ, მასსიურ სოციალისტურ პარტიას, გერლიცის დადგენილებების გარჩევას შეუდგენ ადგილობრივი ორგანიზაციები. და აქ აღმოჩნდა, რომ პარტიაში, მასაში ოპოზიცია კოალიციის საკითხში გაცილებით უფრო ძლიერია, ვინემ პარტეიტაგზე იყო. ბერლინის რაიონის ფონქციონერთა (პასუხისმგებელ მუშაკთა) კონფერენციამ დიდის ხმის უმეტესობით მიიღო შტრებელის *) რეზოლიუცია, რომელიც გადაჭრით ეწინააღმდეგება «სახალხო პარტიასთან» კოალიციას და მოითხოვს დამოუკიდებლებთან დაახლოვებას. ბერლინს მოჰყვა სხვა მრავალი ორგანიზაციები: მაინცის, ვილჰელმსჰაფენის, შტეტინის, იენის, ხემნიცის და სხვები. ყველა ამ ორგანიზაციებმა (ფონქციონერების ან ყველა პარტიის წევრების კრებებმა) გადაჭრით უარყვეს «სახალხო პარტიასთან კოალიცია და ხაზი გაუსვეს დამოუკიდებელ სოც. პარტიასთან გაერთიანების სურვილს. რაც განსაკუთრებით საგულისხმიეროა, ზოგიერთი ორგანიზაციები, როგორც მაგ., იენის და ხემნიცის, გადაჭრით გმობენ ფორშტანდის (ც. კ.) მოქმედებას, რომელმაც, ბაუის თქმით, სახ. პარტიასთან კოალიციის კითხვა გაათრია პარტეიტაგზე

*) შტრებელი გერმანიის სოც.-დემოკრატიის ერთი საუკეთესო მწერალ და პოლიტიკოსთაგანია. წინათ, როცა პარტია გაერთიანებული იყო, შტრებელი „ფორვერტს“ რედაქტორობდა. შემდეგ დამოუკიდებლებთან ერთათ გავიდა პარტიიდან. ხოლო როცა დამოუკიდებლები ბოლშევიზმის ფრაზეოლოგიას აყვენ, შტრებელი დაუბრუნდა მეუმრაველესების პარტიას, საცა ის მემარცხენე ოპოზიციას ხელმძღვანელობს და იბრძვის ორივე პარტიის გაერთიანებისათვის.

ისე, რომ წინასწარ არც კი დაუსვამს სადისკუსიოთ პრესაში და პარტიულ კრებებზე. «ჩვენ მოვითხოვთ, რომ ეს აღარ განმეორდეს» ამბობენ იენელები. ხემნიცელები კი ფორშტანდის მოქმედებას პარტიის ისტორიაში «უმაგალითოთ სთელიან და განსაკუთრებით გმობენ მას».

რა მოჰყვა პარტიის ქვედა ფენების ასეთ გამოსვლებს? როგორ უპასუხა მათ ცენტრალურმა კომიტეტმა? სწორედ ისე, როგორც ეს მასსიურ პროლეტარულ პარტიის ცენტრს შეჰფერის. ცეკამ წამსვე ყური ათხოვა ძლიერ ოპოზიციას, ლიდერებმა ანგარიში გაუწიეს პარტიულ მასსის ხმას და მისი კარნახით პოლიტიკური კურსი მარცხნით გადახარეს. უნდა ითქვას, რომ ამავე დროს გამოირკვა «სახალხო პარტიის» ნამდვილი ზრახვანი. გერლიცის დებატებით დაიმედებულმა «სახალხოელებმა» ისე დაიწყეს ლაპარაკი, თითქოს მათ სთხოვდენ სოც.-დემოკრატები—მთავრობაში შემოდითო და თვით მოინდომეს პირობების კარნახი. ასეთ გარემოებებში სოც.-დემ. პარტიის ცენტრი (რეიხტაგის ფრაქციამ) შეეკითხა დამოუკიდებელ სოციალისტების პარტიას—თანახმაა თუ არა უკანასკნელი მიიღოს მონაწილეობა ვირტის კოალიციაში და თუ ჰო—რა პირობებში? დამოუკიდებლებმა უპასუხეს: ჩვენ შემდეგშიაც დავუჭერთ მხარს ვირტის მთავრობას, თუ ის ძველ პოლიტიკას განაგრძობს, ხოლო მთავრობაში მონაწილეობის შესახებ მაშინ გიპასუხებთ, როცა ვირტის კოალიციის მონაწილე სხვა პარტიების აზრსაც გაგვაგებინებთო. მეუმრავლესებს ფორშტანდი შეეკითხა დემოკრატებს და ცენტრს. ორივე პარტიებმა მიკიბულ-მოკიბული პასუხი მისცეს, საიდანაც აშკარა გახდა, რომ ისინი არჩევენ ოპოზიციის მარჯვენა მხრით გაფართოებას. პირველმა მოლაპარაკებამ დამოუკიდებლებთან პრაქტიკული შედეგი არ მოიტანა, მარა თვით მოლაპარაკება დიდ პოლიტიკურ ფაქტს წარმოადგენს. მოლაპარაკებამ გამოააშკარავა, რომ «დამოუკიდებლებს» ძირიანათ შეუცვლიათ თავისი შეხედულება კოალიციაზე და ამ მთავარ საკითხში, რომელიც ძმურ პარტიას ჰყოფდა, ეხლა მათ შორის პრინციპიალური განსხვავება აღარ არის. როგორც არ უნდა დასრულდეს აწინდელი კრიზისი გერმანიის კაბინეტისა, გერმანია სდგას უდიდეს პოლიტიკურ მოვლენის წინაშე: ორი დიდი სოციალისტური პარტია ერთმანეთს დაუახლოვდა. ზოგიერთ ცალკე სახელმწიფოებში (საქსონიაში, ტიურინგენში) უკვე არსებობს წმინდა სოციალისტური მთავრობები, რომლებშიაც თანამშრომლობენ ორივე სოც. პარტიის წარმომადგენლები. შორს აღარაა ის დრო, როცა ეს პარტიები სძლევენ მათ გამთიშველ დაბრკოლებებს და ერთათ, ერთი ორგანიზაციის ჩარჩოებში დაირაზმებიან. მათი გაერთიანების დღე იქნება დღე გერმანიის რესპუბლიკის მომავლის განმტკიცებისა და ამასთანავე საერთაშორისო სოციალისტური ინტერნაციონალის გაერთიანების დასაწყისი. მკითხველმა დაინახა რა აქტიურ როლს თამაშობს გაერთიანების საქმეში სოც.-დემ. პარტიის მასა, პარტიულ ფართო წრეების საზოგადოებრივი აზრი, რომელიც ყოველ მასიურ პროლეტარულ პარტიაში არის და უნდა იყოს კანონი ხშირათ ჯიუტ და შეურიგებელი ლიდერებისათვის.

დ.

რეზოლიუცია

მიღებული გერმ. ს.-დ. პარ. გერლიცის პერტაიტაგზე 22 სექტემბერს, 1921 წელს.

წინადადება ამ რეზოლიუციის მიღების შესახებ შეტანილ იქმნა ბერშტეინისა, ლოებესა (პარლამენტის თავმჯდომარე) და შტრებელის მიერ.

«პარტეიტაგი მთელი თავის სიმკაცრით ჰკიცხავს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე ვერაგულათ თავდასხმას და მის დაპყრობას. ყველა ქვეყნის სოციალ-დემოკრატიასთან შეთანხმებით პარტეიტაგი მოითხოვს, რომ ბოლშევიკური ჯარები დაუყონებლივ გაყვანილ იქნას საქართველოდან. ამასთანავე ის მოითხოვს ყველა საქართველოში დატყვევებულ სოციალისტების განთავისუფლებას და ბოლშევიკური მთავრობის ჯალათთა (ოპრიჩნიკები) მიერ რუსეთში გადასახლებულ ქართველების უკანვე, სამშობლოში დაბრუნებას».